ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ხატია უდესიანი

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამების ეფექტიანობა (უცხოური გამოცდილება და საქართველო)

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

შოთა შაბურიშვილი

თბილისი

2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი ეროვნული პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას, საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, დასაქმების ზრდის, ინოვაციების ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. მიუხედავად საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური და ეკონომიკური რეფორმებისა, სექტორი კვლავ აწყდება ფინანსურ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ გამოწვევებს, რაც ამცირებს მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობას.

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის კომპლექსური ანალიზი და მათი გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა. მიზნის მისაღწევად ნაშრომში შესწავლილია მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური როლი, განვითარების ძირითადი პრობლემები, სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო პრაქტიკა, საქართველოში მოქმედი ინსტიტუტები და პროგრამები, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების როლი სექტორის განვითარებაში.

კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიურ მიდგომას და აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს. გამოყენებულია შედარების, სინთეზის, სტატისტიკური ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის შეფასებისთვის გამოყენებულია წრფივი რეგრესიული ანალიზი. მხარდამჭერი პროგრამების სიღრმისეული შეფასება განხორციელდა ქეისების ანალიზის მეთოდით, ო'კონორისა და გიბსონის ხუთსაფეხურიანი მოდელის საფუძველზე. კვლევა ემყარება, როგორც ეროვნული სტატისტიკური მონაცემების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზს.

რეგრესიული ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების ზრდა დადებით გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის ზრდაზე. ასევე დადგენილია

პოზიტიური კავშირი მთლიან შიდა პროდუქტსა და მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობას შორის. ამასთან, გამოვლინდა, რომ მიკროგრანტების პროგრამების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სექტორში დასაქმების საერთო მაჩვენებელზე.

ქეისების ანალიზის შედეგად გამოვლენილია პროგრამების ეფექტიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, მათ შორის: გრანტების ათვისების ვადების არასაკმარისი მოქნილობა, ადმინისტრაციული პროცედურების სირთულე, თანამონაწილეობის ფინანსური ბარიერები და ბენეფიციართა საკონსულტაციო მხარდაჭერის დეფიციტი. კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით.

ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, ასევე აკადემიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, პროგრამების ეფექტიანობა, ეკონომიკური განვითარება, დასაქმება.

Effectiveness of National Programs to Support Small and Medium Businesses (Foreign Experience and Georgia)

Abstract

This dissertation is devoted to the assessment of the effectiveness of national programs supporting the development of small and medium-sized businesses in Georgia, in the context of international experience. Small and medium-sized businesses are one of the main factors in economic growth, employment growth, promotion of innovations and formation of a competitive environment. Despite the institutional and economic reforms implemented in Georgia, the sector still faces financial, institutional and structural challenges, which reduce the effectiveness of support mechanisms.

The aim of the study is to conduct a comprehensive analysis of the effectiveness of state programs supporting small and medium-sized businesses and identify areas for their improvement. To achieve this goal, the study examines the socio-economic role of small and medium-sized businesses, the main problems of development, international practice of state support, institutions and programs operating in Georgia, as well as the role of public proc urement in the development of the sector.

The study is based on a complex methodological approach and combines quantitative and qualitative methods. The methods of comparison, synthesis, statistical analysis, induction and deduction were used. Linear regression analysis was used to assess the relationship between economic variables. An in-depth evaluation of the support programs was carried out using the case analysis method, based on the five-step model of O'Connor and Gibson. The study is based on the analysis of both national statistical data and reports of international organizations.

The results of the regression analysis showed that the increase in the total value of contracts concluded within the framework of state procurement has a positive impact on the growth of small and medium-sized business turnover. A positive relationship has also been established between the gross domestic product and the number of employees in small and medium-sized

enterprises. In addition, it was revealed that the number of employees within the framework of microgrant programs does not have a significant impact on the overall employment rate in the sector.

The analysis of the cases revealed the main problems related to the effectiveness of the programs, including: insufficient flexibility of the terms of grant utilization, complexity of administrative procedures, financial barriers to participation and lack of consulting support for beneficiaries. Based on the research, recommendations have been developed for improving the policy of support for small and medium-sized businesses.

The results of the work can be used in the process of state policy planning, as well as in academic and practical activities.

Keywords: Small and medium-sized businesses, state support programs, program effectiveness, economic development, employment.

შინაარსი

ცხრილების, დიაგრამების და გრაფიკების ნუსხა 7
აბრევიატურის ჩამონათვალი 10
შესავალი 13
თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები და სახელმწიფო მხარდაჭერა 22
1.1 მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური როლი და განვითარების პრობლემები 22
1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოური გამოცდილება 28
1.3 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი საერთაშორისო ინსტიტუტები 38
თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების სპეციფიკა საქართველოში 47
2.1 მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი გამოწვევები 47
2.2 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები და ეროვნული პროგრამები 65
2.3 სახელმწიფო შესყიდვების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაში 83
2.4 Covid-19 პანდემიის გავლენის კვლევა მცირე და საშუალო ბიზნესზე 101
თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის კვლევა საქართველოში 112
3.1 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზის ფორმირება 112
3.2 მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები 115
დასკვნები და რეკომენდაციები 122
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 127
დანართები **146**

ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკების და დანართების ნუსხა

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 2.1.1 ბიზნესის რაოდენობრივი პარამეტრები ---------- 49

ცხრილი 2.1.2 საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები 2017-2024 წლებში ----------55

ცხრილი 2.1.3 საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა რეგიონების და ზომების მიხედვით, 2025 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ----------57

ცხრილი 2.1.4 საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა საქმიანობის სახეების და ზომების მიხედვით 2025 წელს ----------58

ცხრილი 2.2.1 2015-2022 წლებში მიკრო გრანტებით დაფინანსების მიმართულების შეჯამება ----------75

ცხრილი 2.2.2 მიკრო გრანტებით დაფინანსება რეგიონების მიხედვით 2022 წელს -----76

ცხრილი 2.2.3 მიკრო გრანტებით დაფინანსების მიმართულების შეჯამება სექტორულ ჭრილში 2015-2022 წლებში ----------77

ცხრილი 2.3.1 შავ და თეთრ სიებში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა 2016-2024 წლებში ---------- 95

ცხრილი 2.3.2 2013-2023 წლებში სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები (მლრდ. ლარი) და მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი) ---------- 95

ცხრილი 2.3.3 x და y კოეფიციენტებით გამოსახული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები (მლრდ. ლარი), მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი) ----------97

ცხრილი 2.3.4 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები ----------98

ცხრილი 2.4.1 მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) და საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2015-2023 წლებში ----------105

ცხრილი 2.4.2 მთლიანი შიდა პროდუქტი და დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოებში ---------- 105

ცხრილი 2.4.3 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები ----------106

ცხრილი 2.4.4 2015-2022 წლებში საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა ---------- 108

ცხრილი 2.4.5 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები ----------108

ცხრილი 3.1.1 კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია ----------113

ცხრილი 3.2.1 დასაქმებულთა რაოდენობა გამოკითხული ბენეფიციარების ბიზნესებში ----------116

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 2.1.1 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2010-2024 წლებში (ათასი კაცი) ---------- 50

დიაგრამა 2.1.2 დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2010-2024 წლებში (ათასი კაცი) ---------- 51

დიაგრამა 2.1.3 დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2024 წელს (ათასი კაცი) ----------52

დიაგრამა 2.1.4 აქტიურ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2025 წელს - 56

დიაგრამა 2.1.5 მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2013-2023 წლებში (მლნ ლარი) ---------- 60

დიაგრამა 2.2.1 მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტი 2015-2022 წლებში (მლნ აშშ დოლარი) ----------73

დიაგრამა 2.3.1 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები 2016-2024 წლებში (მლრდ. ლარი) ---------- 84

დიაგრამა 2.3.2 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ღირებულება შესყიდვის საფუძვლის მიხედვით 2024 წელს ---------- 85

დიაგრამა 2.3.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eProcurement) მიმწოდებელთა რეგისტრაციის რაოდენობა 2014-2024 წლებში --------- 86

დიაგრამა 2.3.4 ტენდერის საბოლოოს სტატუსები 2024 წელს ---------- 90

დიაგრამა 2.3.5 შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 2024 წელს ---------- 91

დიაგრამა 2.3.6 თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 2024 წელს ---------- 94

დიაგრამა 3.2.1 „Fishbone“ დიაგრამა ----------120

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 2.1.1 მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2010-2024 წლებში (ლარი) ---------- 53

გრაფიკი 2.1.2 მცირე და მსხვილ საწარმოების სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2019-2023 წლებში ----------62

გრაფიკი 2.4.1 უმუშევრობის დონე საქართველოში 2015-2023 წლებში (%) ----------104

დანართების ჩამონათვალი

დანართი 1. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ მცირე ბიზნესის გრანტით დაფინანსებული ბენეფიციარების კითხვარი ----------146

დანართი 2. ქეისების ანალიზის კვლევაში მონაწილე პირები ----------148

აბრევიატურის ჩამონათვალი

DCFTA – Deep and Comprehensive Free Trade Areas - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

OECD - The Organisation for Economic Co-operation and Development - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

GIZ – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

WTO – World Trade Organization - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

SME – Small and Medium-sized Enterprises - მცირე და საშუალო საწარმოები

SMB - Small and Medium-sized Business - მცირე და საშუალო ბიზნესი

SBA - Small Business Administration - მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია

UNIDO - გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია

IFC - The International Finance Corporation - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

MSMEs - Micro, Small and Medium Enterprises - მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები

BAFA - The Federal Office for Economic Affairs and Export Control - ეკონომიკური საქმეთა და ექსპორტის კონტროლის ფედერალური სამსახური

IRS - Internal Revenue Service - შიდა შემოსავლების სამსახური

შესავალი

თემის აქტუალურობა

თანამედროვე მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი როლი შეიძინა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებამ, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელმა მთავარმა ფაქტორმა. ბოლო წლებში საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო, თუმცა ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ მწვავედ დგას სოციალური პრობლემები, სიღარიბე და უმუშევრობა. ვინაიდან, ეკონომიკის სტიმულირების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მათი მხარდაჭერა უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. საქართველოში დღეს არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა.

მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ამ სექტორის ფოკუსს წარმოადგენს ახალი პროდუქტების თუ მომსახურების შექმნა, კომპანიები კი ახერხებენ ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან სწრაფად მორგებას. მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიულ ინტერესის სფეროდ ფორმირება გამოწვეულია მისი ეკონომიკური და სოციალური ეფექტებიდან გამომდინარე.

მცირე და საშუალო ბიზნესი ეხმარება მსხვილ ბიზნესს საქმიანობის ზოგიერთ სფეროში. სხვა შემთხვევაში მსხვილი ბიზნესი იძულებული იქნება ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რაც შესაძლოა მისთვის არ იყოს ფინანსურად მომგებიანი. მცირე და საშუალო ბიზნესის კაპიტალი გლობალური ეკონომიკის ძირითადი ნაწილია, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების შექმნას და ხელს უწყობენ ეკონომიკურ განვითარებას და ინოვაციას.

მცირე და საშუალო ბიზნესი ასტიმულირებს კონკურენციას, რაც ამცირებს ფასებს და ზრდის ეფექტიანობას. თავისი არსებობით მცირე და საშუალო ბიზნესს ქვეყნისათვის ეკონომიკური კეთილდღეობის მოტანა შეუძლია, კერძოდ, იქმნება ახალი

სამუშაო ადგილები; მარტივდება მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირება, შესაბამისად, სამომხმარებლო ბაზარი ხდება სტაბილური; მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ინოვაციის წყაროს, სადაც შესაძლებელია სიახლეების გამოცდა და დანერგვა; ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი მონოპოლიების დემონოპოლიზაციაა.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის რიგი ხელსაყრელი პირობებია, მათ შორის, ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა, ინდივიდუალური შრომისაკენ მისწრაფება, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესის არსებობა ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. საშუალო ფენას კი შესწევს უნარი ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში ადვილად ადაპტირდეს ახალ გარემოსთან.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი ეროვნული პროგრამების ეფექტიანობის შეფასება ამ სფეროში საზღვარგარეთ დაგროვილი მოწინავე გამოცდილების კონტექსტით.

მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის ფენომენის შესწავლა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემების ანალიზი;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოური გამოცდილების კვლევა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ანალიზი;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი გამოწვევების კვლევა;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების და პროგრამების შესწავლა;

- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად სახელმწიფო შესყიდვების როლის კვლევა;
- Covid-19 პანდემიის გავლენის ანალიზი მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამის ეფექტიანობის კვლევა საქართველოში.

კვლევის საგანი და ობიექტი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები, მისი მხარდაჭერის ეროვნული პროგრამების ძლიერი/სუსტი მხარეები და ამ მიმართულებით მსოფლიოში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება.

კვლევის ობიექტია საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების სპეციფიკა, გარემო, მისი მხარდამჭერი ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტები და პროგრამები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ემპირიული ბაზა

კვლევის ფარგლებში დასახული მიზნისა და დასმული ამოცანების მისაღწევად გამოყენებულ იქნა კომპლექსური მიდგომა. კვლევა ჩატარდა თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების მეშვეობით, შედარების, სინთეზის, სტატისტიკური დაჯგუფების, გრაფიკული ანალიზის მეთოდებით. ასევე, კვლევის პროცესში გამოყენებულია დედუქციის და ინდუქციის მეთოდები. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიკაში.

კვლევის პროცესში ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რაც მოიცავდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების ნაშრომებისა და სტატიების, ასევე, სამეცნიერო კონფერენციების კრებულების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის,

ევროპული კომისიის და ევროკავშირის სხვა სტრუქტურების მონაცემები და ანგარიშები.

კვლევის პროცესში ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთქმედებისა და გავლენის გასაანგარიშებლად გამოყენებულია წრფივი რეგრესიული ანალიზის მეთოდი.

ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის სიღრმისეული კვლევისათვის გამოყენებულია ქეისების ანალიზის მეთოდი. კვლევის შედეგების ვიზუალიზაციისთვის აგებულია „Fishbone“ დიაგრამა, რომელიც არის ინსტრუმენტი კონკრეტული მოვლენის, პრობლემის ან შედეგის მრავალი შესაძლო მიზეზის დასადგენად და გამოსაკვლევად.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული კვლევა კომპლექსურია, რის გამოც შესაძლებლობა გვქონდა სიღრმისეულად შეგვესწავლა, გაგვეანალიზებინა, შეგვეფასებინა და გამოგვევლინა მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკაში არსებული ხარვეზები, რაც იწვევს მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის შემცირებას.

კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები მდგომარეობს შემდეგში:

- დასაბუთებულია, რომ საჭიროა საქართველოში არსებობდეს ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი სტრატეგიული გეგმების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ასევე, საჭიროა კვლევითი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც პერმანენტულად განახორციელებენ ბიზნესის მდგომარეობის ანალიზს და გამოავლენენ მათ საჭიროებებს;
- გამოვლენილია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არსებობის საჭიროება და სამთავრობო ფინანსური ინსტიტუტების პასუხისმგებლობა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სახსრების სტაბილურ მიწოდებაში;
- დადგენილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მაქსიმალურად მიმართული უნდა იყოს ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისკენ, რის უზრუნველსაყოფადაც მცირე და

საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში;

- გამოვლენილია კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტი, რის დასაძლევადაც საჭიროა საგანმანათლებლო მოკლევადიანი სემინარების, ტრენინგებისა და ვორქშოფების ჩატარება, ასევე პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;
- გამოვლენილია საკანონმდებლო ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით, რაც აფერხებს სახელმწიფო შესყიდვებში აღნიშნული სექტორის ჩართულობას. ხარვეზები ეხება, მათ შორის, შავი და თეთრი სიის წარმოების წესს, რომელიც ზღუდავს კონკურენციას და თანასწორობას;
- რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებების ზრდა პოზიტიურ გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობის ზრდაზე; ასევე დადგენილია პოზიტიური კავშირი ერთ-ერთ მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს, მთლიან შიდა პროდუქტსა და მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობას შორის. ამასთან, რეგრესიული ანალიზით დადგენილია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად გაცემული მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა გავლენას არ ახდენს საწარმოებში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობას.
- ქეისების ანალიზის მეთოდით, რომელიც განხორციელდა ო'კონორისა და გიბსონის ხუთსაფეხურიანი გაიდლაინით, გამოვლინდა ნაკლოვანებები, რაც დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობასთან, კერძოდ:
    - გრანტის ათვისების ვადები არ არის მორგებული ბენეფიციარის საჭიროებებზე;

- გრანტის გამცემ ორგანიზაციებს აქვთ ბიუროკრატიული და ხისტი მიდგომები საგრანტო პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
- გრანტის თანამონაწილეობის თანხა წარმოადგენდეს საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ბარიერს;
- ბენეფიციარებს უშუალოდ ბიზნესის კეთების პროცესში ესაჭიროებათ შესაბამისი ექსპერტების მიერ კონსულტაციების გაწევა და დახმარება;
- ბენეფიციარები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ფინანსურ, საგადასახადო, ბუღალტრულ, მარკეტინგულ და მენეჯერულ საკითხებზე.

- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების პრობლემის ან შედეგის შესაძლო მიზეზების გამოსაკვლევად შემუშავებულია „Fishbone“ დიაგრამა.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ეროვნული პროგრამების ეფექტიანობის კვლევა საქართველოში, უცხოური გამოცდილების კონტექსტით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სექტორის პოტენციალის გამოვლენასა და სწორი პოლიტიკის განსაზღვრაში. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები და დასკვნები შესაძლებელია გამოიყენოს სამთავრობო უწყებებმა, როგორიცაა სსიპ აწარმოე საქართველოში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და სხვა. აღნიშნულმა და სხვა უწყებებმა შესაძლებელია კვლევის შედეგები გამოიყენონ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კვლევის შედეგები გამოსადეგი იქნება ასევე მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართული პირებისათვის. ამასთან, საგულისხმოა, რომ კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ სხვა მკვლევარებსა და მეცნიერებს ნაშრომთან დაკავშირებული და მომიჯნავე საკითხების კვლევისას. სადისერტაციო ნაშრომის გამოყენება ასევე, შეიძლება სალექციო კურსებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა 148 გვერდია. ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, სამი თავი, ცხრა ქვეთავი, თვრამეტი ცხრილი, ცამეტი დიაგრამა, სამი გრაფიკი, ორი დანართი, დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა. თავდაპირველად გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური როლი და განვითარების პრობლემები. ნაშრომში განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და მკვლევარების მოსაზრებები. გარდა ამისა, განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესს ძირითადი მახასიათებლები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ამასთან, განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოური გამოცდილება და გამოკვეთილია საუკეთესო პრაქტიკები. პირველი თავის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია მცირე ბიზნესის მხარდამჭერი საერთაშორისო ინსტიტუტების ანალიზი და მათი როლი სექტორის განვითარებაში.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების სპეციფიკა საქართველოში. აღნიშნულ თავში დამუშავებულია სექტორთან დაკავშირებული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები და განხილულია ძირითადი გამოწვევები. ასევე, წარმოდგენილია საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ეროვნული პროგრამების ანალიზი. მიმოხილულია სახელმწიფო შესყიდვების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაში და გამოვლენილია ძირითადი საკითხები, რაც აფერხებს აღნიშნული სექტორის ჩართულობას სახელმწიფო შესყიდვებში. ამავე თავში წარმოდგენილია რეგრესიული ანალიზი, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებების გავლენის შეფასებაზე მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობასთან მიმართებაში. ასევე, ჩატარებულია Covid-19 პანდემიის გავლენის კვლევა მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოში.

მესამე თავში მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის კვლევა, რაც მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიისა და მონაცემთა ბაზის ფორმირებას, ასევე, მონაცემთა ანალიზისა და კვლევის შედეგების განხილვას. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ქეისების მეთოდი. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა ო'კონორისა და გიბსონის ხუთსაფეხურიანი გაიდლაინით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიკითხა 10 მცირე ბიზნესი, რომლებიც დაფინანსდნენ სააგენტოს „აწარმოა საქართველოში" გრანტით. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ვიზუალიზაციის ინსტრუმენტით - „Fishbone" დიაგრამით.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია, ასევე დანართები.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი მთლიანად განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე.

კვლევის შედეგები გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე მათი წარდგენა მოხდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, მათ შორის:

1. Udesiani Khatia, „Effectiveness of state support programs for digital small and medium businesses in Georgia", 13th edition of the Smart Cities International Conference (SCIC) - Leading for the People, Acceleration with the Digital, Bucharest, Romania, December 2025;
2. Udesiani Khatia, Sologashvili Dali, „Assessment of the Effectiveness of Small and Medium-Sized Business Participation in Public Procurement in Georgia", Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, (ISSN - 0132 – 1447, vol. 19(193), no. 3), September 2025, Pages: 200-206;
3. Udesiani Khatia, „Evaluating the Efficiency of Participation of Small and Medium-Sized Businesses in Electronic State Procurement in Georgia", 28th FAI International Conference on

Digitalisation and Artificial Intelligence Revolution in Business Management, Baku, Azerbaijan, April 2024;

4. Udesiani Khatia, Shaburishvili Shota, „Small and Medium Business Opportunities and The Importance of Its Support in Georgia“, The SeyBold Report, (ISSN: 1533-9211; DOI 10.17605/OSF.IO/5P28E), April 2023, Pages: 1669-1673;
5. Sikharulidze Davit, Shaburishvili Shota, Kadagishvili Leila, Munjishvili Tea, Maisuradze Rusudan, Udesiani Khatia, „Impact of Business Size on Innovation Process and Productivity in Georgia“, The SeyBold Report, (ISSN: 1533-9211; DOI: 10.5281/zenodo.8288960), August, 2023;
6. უდესიანი ხატია, შაბურიშვილი შოთა, „COVID-19 პანდემიის გავლენა მცირე ბიზნესში დასაქმებულებზე და კრიზისის დაძლევის გზები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი“ მასალათა კრებული, (IBSN 978-9941-495-51-9), თებერვალი 2022, გვ.: 255-262;
7. Udesiani Khatia. „Small and Medium Enterprises Development Trends and Challenges in Georgia“, Scientific journal of academic research „BLACK SEA“, (ISSN: 1987 6521; E ISSN:2346 7541, DOI: 10.36962 /GBSSJAR, VOLUME 54 ISSUE 03), MAY 2020, Pages: 20-24;
8. Udesiani Khatia, Shaburishvili Shota, „Quantitative and Qualitative Parameters of Small and Medium Business in Georgia“, VI Міжнародної науково-практичної конференції, Маріуполь, Україна, (УДК 339.922 (063), ББК 65.54я431), November 2019, Pages: 120-121;
9. Udesiani Khatia, „Small Business Problems in Georgia“, Student Scientific Conference 2019 (Collection of conference articles), Matej Bel University, Banska Bystrica, Slovakia, (ISBN 978-80-557-1540-7), April 2019.

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თავისებურებები და სახელმწიფო მხარდაჭერა

1.1 მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური როლი და განვითარების პრობლემები

თანამედროვე მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ვიწრო საწარმოო და ეკონომიკური საქმიანობა, ვინაიდან უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. უმრავლესი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც ეროვნული განვითარების სტრატეგია, მიმართულია აღნიშნული სექტორის გაფართოების ხელშეწყობისა და მხარდაჭერისკენ, საკითხის შესწავლას კი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვენლობა ენიჭება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემებსა და ფუნქციონირების სპეციფიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ცალკეული ქვეყნის მთავრობები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

ბიზნესის განვითარება დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან, მუდმივად განახლებად და მომხმარებლებზე მორგებული პროდუქტების შექმნასთან, შესაბამისად, სწორედ ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორს (Udesiani & Sologashvili, 2025). ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს ძლიერი, დივერსიფიცირებული და დინამიური ეკონომიკის განვითარებას (OECD, 2022). ბოლო ათწლეულების მანძილზე შემოსავლები ზრდამ, ბაზრის მოთხოვნამ და განვითარებულმა ტექნოლოგიებმა მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობა მისცა გააძლიეროს შედარებითი უპირატესობები და დაძლიოს ის სიძნელეები, რაც გამოწვეულია რესურსების ნაკლებობითა და მასშტაბის ეკონომიის ათვისების შეზღუდული უნარით (OECD, 2017). ქვეყანაში საშუალო კლასის ჩამოყალიბება და ეკონომიკის მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით (Shaburishvili & Kadagishvili, 2018).

მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. განვითარებად ქვეყნებში მცირე და საშუალო

ბიზნესის ზრდის ფუნდამენტური მიზანია კომერციისა და ინდუსტრიალიზაციის გაძლიერება (Ali, Mogindol, & Hanafiah, 2023). სოციალურად და ეკონომიკურად მომგებიანი ეფექტებიდან გამომდინარე, ეს სექტორი განიხილება ქვეყნების სტრატეგიული ინტერესის სფეროდ. დღესდღეობით წარმოუდგენელია, რომ ბიზნესი მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში იყოს მოქცეული (Immerse Education, 2023). ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოები ასტიმულირებენ კონკურენციას და ხელს უწყობენ დემონოპოლიზაციას. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი გადამწყვეტია ეკონომიკური ზრდის, განვითარების, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირებაში (European Commission, 2021).

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოიშვება სიღარიბის ფონზე (ჰერი & ნეტეკოვენი, 2019). ზოგჯერ თვითდასაქმება, მითუფრო არაფორმალურ სექტორში, ჩამორჩენილობის ნიშანია (Hobday & Perini, 2009). მცირე და საშუალო ბიზნესის ერთი კატეგორია ინოვაციურ პროდუქტებს ქმნის. მეორე კატეგორია სტანდარტული საქმიანობით გამოირჩევა, რომელიც ადაპტირებულია განვითარებად გარემოსთან. ეს ბიზნესები კონკურენტუნარიანები არიან, მაგრამ არ ქმნიან ინოვაციებს. ხოლო, მესამე ჯგუფი ყალიბდება სიღარიბის ფონზე და იქმნება მცირე სამუშაო ადგილების, არასაკმარისი ფინანსების, დაბალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში. ასეთი ბიზნესების საქმიანობა ეყრდნობა იაფ მუშახელს, ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვთა შრომას. მათ წვლილი თითქმის არ შეაქვთ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. განვითარებად ქვეყნებში მცირე ბიზნესის რაოდენობა იზრდება კრიზისის, უმუშევრობისა და სიღარიბის დროსაც, როდესაც ადამიანები ცდილობენ თავის გადარჩენას ყველანაირი გზით (ჰერი & ნეტეკოვენი, 2019).

ვინაიდან, ქვეყნის ეკონომიკაზე მცირე და საშუალო ბიზნესის გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი გახდეს მისი გაძლიერება. სწორედ ამ მიმართულების განვითარება გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, მათ შემოსავლებს და ზოგადად, გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს საშუალო კლასის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს (ლომსაძე-კუჭავა & გიორგაძე, 2016).

ტექნოლოგიური და ინოვაციური მიღწევები უმეტესად მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის დამსახურებაა. მსხვილი ბიზნესი ხშირ შემთხვევაში ფოკუსირებულია არსებული პროდუქციის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების ზრდაზე, მეტი მოგების მისაღებად, შესაბამისად, მათი მოქნილობა ნაკლებია. მცირე და საშუალო ბიზნესი არა მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობას იძლევა, არამედ პროდუქტიულობისა და ინოვაციის კარგი საშუალება (ჰერი & ნეტეკოვენი, 2019). წარმატების მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესი ფოკუსირებულია ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნაზე. ისინი ცდილობენ სწრაფად მოერგონ ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. საგულისხმოა, რომ ინოვაციების დანერგვა საკმაოდ რთულად განსახორციელებელი სტრატეგიაა. ინოვაციური შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მთავარი უპირატესობაა კონკურენციის თვალსაზრისით (Saunila, 2020). სიახლეების აღმოჩენა და დანერგვა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან შეიძლება მცდელობა მარცხით დასრულდეს, რაც დროის და ფინანსური რესურსის დაკარგვას ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის მიერ წარმატებით განხორციელდა ინოვაციური საქმიანობა, არსებობს დიდი შანსი, რომ სხვა ბიზნესებმა მიბაძონ მას. ამ შემთხვევაში მაღალია სოციალური სარგებელი, თუმცა ინოვაციური ბიზნესის სარგებელი მცირეა.

სახელმწიფო პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერისკენ. ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (კურდღელია, 2020). ხოლო, მთავრობა დიდ როლს თამაშობს ადგილობრივი ინოვაციური ფირმების მხარდაჭერაში (Shaburishvili, 2011). დიდ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციის გაზიარება ბიზნესსა და მთავრობას შორის, რის საფუძველზეც ყალიბდება გონივრული პოლიტიკა ბიზნესში არსებული სისუსტეების აღმოსაჩენად და მათ აღმოსაფხვრელად (Rodrik, 2004). მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ ან/და არაპირდაპირ ზემოქმედებენ ბიზნესზე (ჰასიდი, და სხვ., 2009).

ტერმინები „ბიზნესი“ და „მეწარმე“ მე-18 საუკუნიდან დამკვიდრდა. „მეწარმეობა“ პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა განმარტა (Мескон, Альберт, & Хедоури, 1993). აღნიშნული ტერმინები გამოჯნა ამერიკელმა მეცნიერმა პიტერ დრუკერმა (სამადაშვილი, 2016). მეწარმეობასთან დაკავშირებულ თეორიებს ასევე იკვლევდნენ სხვადასხვა უცხოელი მკვლევარები თუ მეცნიერები, მათ შორის: ჟ. ბ. სეი (1797), ნ. ბოდო (1797), ფ. უოკერი (1876), ჟ. შუმპეტერი (1934), დ. მაკლელანდი (1961), ა. შაპირო (1975), კ. ვესპერი (1980), გ. პ. ანტრეპრენერი (1983), რ. ხიზრიჩი (1985) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიელი ეკონომისტი და სოციოლოგი ჟ. შუმპეტერი მეწარმედ მიიჩნევს პირს, რომელიც ეკონომიკაზე ზემოქმედებს (Шумпетер, 1982). ჟ. ბ. სეი და ა. სმითი მეწარმედ კაპიტალის მესაკუთრეს მიიჩნევენ, რომლის მიზანი შემოსავლის მიღებაა (Say, 1972) (Wtterwulghe, 1972). ი. კირცნერი მიიჩნევდა, რომ მეწარმე მოგების მიღებას ბაზრის არაწონასწორობის პირობებში ახერხებს (Kirzner, 1975). ჯ. მადურას შეხედულებით მეწარმეობა დაკავშირებულია ახალი ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებასა და რისკის აღების უნარზე (Madura, 2007).

ბიზნესი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მეწარმე სუბიექტი ან როგანიზაცია, რომელიც დაკავებულია კომერციული, პროფესიულ, ან სამრეწველო საქმიანობით (The Economic Times, 2023). ბიზნესის მიზანია საქონლის ან მომსახურების ეკონომიკური წარმოების ორგანიზება (Hayes, 2023).

ბიზნესი ქართველ მეცნიერებსა თუ მკვლევარებს სხვადასხვაგვარად აქვთ განმარტებული. ბიზნესი დამოუკიდებელი და რისკით განხორციელებული საქმიანობაა, რომელიც მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, მომსახურების გაწევის, საქონლის გაყიდვის ან სამუშაოს შესრულების გზით (მესხია, 2005). ბიზნესის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელი, ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობით (ყამარაული, 2002). ბიზნესი სამეურნეო საქმიანობაა, ასევე საქმიანი ურთიერთობაა მის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანი არის მოგების მიღება, რომელიც შესაძლებელია იყოს ეკონომიკური სარგებელი ან სხვა ფორმა (შუბლაძე & ნანიტაშვილი, 2011). ბიზნესი არის ადამიანების ურთიერთობა ერთობლივი

საქმიანობის პროცესში, როდესაც ყველა მონაწილე ცდილობს საკუთარი მოგების მიღებას (შენგელია, 2008). ბიზნესის მთავარი ფუნქციას საზოგადოების საქონლით და მომსახურებით უზრუნველყოფა წარმოადგენს (სამადაშვილი, 2016). ბიზნესი საქმიანობის მთლიანი სისტემაა, რომელიც მიმართულია საქონლის გამოშვებაზე, აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს და უკავშირდება მოგების მიღებას (ქეშელაშვილი, 1997).

სტრატეგიის მიუხედავად, ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების მიწოსდება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების საჭიროებებს (Ogunbor, 2020). ბიზნესი არის პიროვნების ორგანიზებული ძალისხმევა, რათა აწარმოოს ან გაყიდოს საქონელი ან მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს (Hughes, Kapoor, & Pride, 2012). ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების წარმოება.

მცირე და საშუალო ბიზნესს ძირითადი მახასიათებლები განსაზღვრავს, მათ შორის, საგულისხმოა, რომ მფლობელები აქტიურად არიან ჩართული ორგანიზაციის მართვაში და მდებარეობს ძირითადად ერთ კონკრეტულ ადგილას. აღნიშნული სახის ბიზნესი ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით, მათ შორის დამოუკიდებლობით, გადაწყვეტილებების ოპერატიულად, ეფექტიანად მიღების უნარით, მოკლე დროში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობით, ამასთან, დასაქმებულ პირს შეუძლია ერთდროულად შეითავსოს რამდენიმე საქმიანობა. მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, შესაბამისად არსებობს რიგი მხარდამჭერი პროგრამები და შეღავათები. მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობას ასევე განსაზღვრავს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მცირე მოცულობის საკმარისობა, თანამშრომლების მცირე რაოდენობა და შესაბამისად, მათი მართვის სიმარტივე, ბიზნესის დასაწყებად კი, რიგ შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალიც საკმარისია.

თითოეულ ქვეყანას აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის საკუთარი განმარტება, რაც გამოიხატება დასაქმებულთა რაოდენობის, შემოსავლების ან აქტივების ზღვრული

რაოდენობით. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA) კლასიფიცირებას ახდენს მცირე ბიზნესის სტრუქტურის, თანამშრომელთა რაოდენობის და ინდუსტრიის მიხედვით (US Small Business Administration, 2023). მაგალითად, წარმოებაში მცირე და საშუალო ბიზნესია, თუ დასაქმებულია არანაკლებ 500 ადამიანი, თუმცა, თუ ბიზნესი ეხება სპილენძის და ნიკელის მადნის მოპოვებას, შესაძლებელი დასაქმებული იყოს 1500-მდე ადამიანი. ევროკავშირის მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ბიზნესები, რომლებსაც ჰყავთ 10-ზე ნაკლები თანამშრომელი ეწოდებათ „მცირე ოფისი“/„სახლის ოფისი“ (SOHO). რაც შეეხება საგადასახადო ანგარიშგებას, შტატების შიდა შემოსავლების სამსახური (IRS) არ ჰყოფს ბიზნესებს მცირედ და საშუალოდ, არამედ ერთ ჯგუფად კლასიფიცირდება მცირე ბიზნესი და თვითდასაქმებული პირები, ხოლო მეორე ჯგუფად განიხილავს საშუალო და მსხვილ ბიზნესებს (Internal Revenue Service, 2023). შიდა შემოსავლების სამსახური (IRS) მცირე ბიზნესად განიხილავს 10 მილიონ დოლარზე ნაკლები აქტივების მქონე კომპანიას, ხოლო მსხვილ ბიზნესად განიხილავს 10 მილიონ დოლარზე მეტი აქტივების მქონე კომპანიას (Internal Revenue Service, 2022). ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის 33.2 მილიონი მცირე ბიზნესია. შტატების ეკონომიკაში მცირე ბიზნესის წილი 99.9%-ს შეადგენს, ანაზღაურებადი თანამშრომლების რაოდენობა ყველა ფირმის 99.7%-ს და ექსპორტიორთა 97.3%-ს (Small Business Administration, 2023). ამერიკის შეერთებულ შტატების მთლიან შიდა პროდუქტში მცირე ბიზნესის წილი 43.5%-ია. მცირე ბიზნესი იხდის შტატების მთლიანი კერძო ხელფასის 39.7%-ს, ასევე მცირე ბიზნესმა შექმნა მსხვილ ბიზნესებთან შედარებით 4,8 მილიონით მეტი ახალი სამუშაო ადგილი 1995 წლიდან 2020 წლამდე (Liberto, 2022).

კანადის მთავრობა გამოსცემს კანადის ინდუსტრიის სტატისტიკას, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის თითოეულ ტიპს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით:

- მიკრო ბიზნესი - 1-4 თანამშრომელი;
- მცირე ბიზნესი - 5-99 თანამშრომელი;
- საშუალო ბიზნესი - 100–499 თანამშრომელი;
- მსხვილი ბიზნესი - 500-ზე მეტი თანამშრომელი (Government of Canada, 2023).

2022 წელს კანადაში მცირე ბიზნესის წილი შეადგენდა ყველა ბიზნესის 98%-ს, სადაც დასაქმებული იყო 10,3 მილიონი ადამიანი - სამჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე საშუალო ბიზნესში (Tan, Sood, & Johnston, 2023).

ევროკავშირის განმარტებით მცირე ზომის ბიზნესში დასაქმებულია 50-ზე ნაკლები თანამშრომელი, საშუალო ბიზნესში - 250-ზე ნაკლები, ხოლო მიკრო ბიზნესში დასაქმებულია 10-მდე თანამშრომელი (EU Commission, 2023). ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ბიზნესების 99%-ს, სადაც დასაქმებულითა რაოდენობაა დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი და გამოიმუშავებენ ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს (EU Commission, 2023).

ჩინეთში ბიზნესის ზომის კლასიფიცირება კომპლექსურია, ზოგადად კი კომპანიის ზომა განისაზღვრება საოპერაციო შემოსავლების, თანამშრომლების რაოდენობის ან მთლიანი აქტივების მიხედვით. მაგალითად, ჩინური საცალო ვაჭრობის ბიზნესი მცირეა, თუ დასაქმებულია 10-დან 49 თანამშრომელი და აქვს წლიური საოპერაციო შემოსავალი მინიმუმ 1 მილიონი დოლარი. უძრავი ქონების ბიზნესი მცირეა თუ წლიური საოპერაციო შემოსავალი 1-დან 10 მილიონ დოლარამდეა, ხოლო მთლიანი აქტივები 20-დან 50 მილიონ დოლარამდე. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ბიზნესს, მცირეა თუ მისი წლიური საოპერაციო შემოსავალი 0,5-დან 5 მილიონ დოლარამდეა (China Briefing, 2023).

1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოური გამოცდილება

მცირე და საშუალო ბიზნესი დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების უმეტესობის შექმნას და ავითარებს გლობალურ

ეკონომიკას, მთელ მსოფლიოში წარმოადგენს ბიზნესის 90%-ს და ასაქმებს მსოფლიოს 50%-ზე მეტ ადამიანს (The World Bank, 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ზრდაში აფერხებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. მათ აქვთ ნაკლები შესაძლებლობა მიიღონ საბანკო სესხები, შესაბამისად, ბიზნესის დასაწყებად ან სამართავად იყენებენ საკუთარ სახსრებს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გამოთვლებით, 65 მილიონ კომპანიას, რაც შეადგენს ფორმალური საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების (MSME) დაახლოებით 40%-ს განვითარებად ქვეყნებში, ყოველწლიურად აქვს 5.2 ტრილიონი აშშ დოლარის დაუკმაყოფილებელი საჭიროება (The World Bank, 2022).

აზიის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ახალ ზელანდიასა და კორეაში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ექსპორტის წახალისებაზე, ხოლო კამბოჯაში პოლიტიკა მიმართულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ აზიის მთელ ტერიტორიაზე არსებობს მთავრობების პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი მსგავსება, რომელიც დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებასთან. პრობლემები ეხება ფინანსებზე და კრედიტებზე ხელმისაწვდომობას, ტრენინგებსა და ადამიანური რესურსების განვითარებას, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, კვლევების მასშტაბების ზრდას. ასევე, პრობლემებია ბაზრების და კლიენტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობასთან, ტრანსპორტსა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით (Ministry of Foreign Affairs of Japan, 2022). მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბიზნესზე გარე ფაქტორების გავლენა, ეკონომიკური კლიმატი.

იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესი ყველა კომპანიის 99,7%-ს შეადგენს და მათში მუშაობს დასაქმებულთა 70% (Japan's International Cooperation, 2017). იაპონიაში მცირე და საშუალო საწარმოები განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის ძრავა, განსაკუთრებით სტრატეგიულ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის გზით (EU-Japan Centre for Industrial Cooperation, 2024). იაპონიის მცირე და საშუალო ბიზნესის სააგენტო

საჭიროებისამებრ აახლებს არსებულ კანონებსა და რეგულაციებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ახალ პარტნიორობას მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის. სააგენტო მხარს უჭერს ახალი ბიზნესის წამოწყებას და ახალი ბაზრების გახსნას. ამავდროულად, სააგენტო უზრუნველყოფს ფინანსური უსაფრთხოების ქსელის განახლებას (Yoshimura & Kato, 2024).

იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთი მიდგომა არის მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვა, ხოლო მეორე მიდგომაა ზრდის პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება. ამ კონტექსტში, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ჩარჩო მიზნად ისახავს:

- თვითდახმარების ძალისხმევის მხარდაჭერას და ახალი ბიზნესის წამოწყებისა და ბიზნესის ინოვაციების ხელშეწყობას (ამბიციური საწარმოების მხარდაჭერა);
- მცირე და საშუალო საწარმოების მართვის ბაზის გაძლიერება (მენეჯმენტის რესურსების გაძლიერება);
- ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან შეუფერხებლად ადაპტაციის ხელშეწყობა (საჭირო უსაფრთხოების ბადის უზრუნველყოფა).

დაფინანსების წყაროების მოზიდვა მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევას წარმოადგენდა. ამრიგად, საჭირო გახდა სამთავრობო ფინანსურ ინსტიტუტებს განეხორციელებინათ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სახსრების სტაბილური მიწოდება. სახელმწიფომ გააძლიერა სამთავრობო ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციები. შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას უზრუნველყოფს იაპონიის საფინანსო კორპორაცია მცირე და საშუალო საწარმოთათვის (JASME), ნაციონალური საფინანსო კორპორაცია (NLFC), „Shoko Chukin“-ის ბანკი და სხვა (Yoshimura & Kato, 2024). დამწყები ბიზნესმენებისთვის სახელმწიფო ახორციელებს ყოვლისმომცველ მხარდაჭერას დაფინანსების, ადამიანური რესურსების, მენეჯმენტის, ინფორმაციის, ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით.

2014 წელს ფედერალური კანონით ჩამოყალიბდა **არაბთა გაერთიანებული საემიროების** ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისა და პროექტების ეროვნული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მეწარმეების მხარდაჭერას სტრატეგიის შემუშავებაში, მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პროგრამა მოსახლეობას საშუალებას აძლევს შექმნას ან განავითაროს არსებული ბიზნესი, ტექნიკური, ადმინისტრაციული და ინფორმაციული მხარდაჭერით. ასევე, პროგრამა მიზნად ისახავს გაზარდოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობა (Ministry of Economics of United Arab Emirates, 2022). აღნიშნული პროგრამის მიზანია:

- მონაცემთა ბაზების საშუალებით ცოდნის ხელმისაწვდომობა, რომელიც იძლევა პროფესიული განვითარების შესაძლებლობას;
- წვდომა და მხარდაჭერა ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ექსპერტიზაზე;
- პროექტების დაფინანსება და ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება;
- მეწარმეების სწავლება და უნარების დახვეწა სემინარებით, ტრენინგებით და ვორქშოფებით, ასევე მათთვის სამუშაო იარაღების მიწოდება;
- მარკეტინგული არხები, მეწარმეთა პროდუქტებისა და სერვისების მოთხოვნის გაზრდის მიზნით.

2023 წელს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაახლოებით 350 ათასი მცირე და საშუალო საწარმო ფუნქციონირებდა, რაც წარმოადგენდა ქვეყანაში მოქმედი კომპანიების 94%-ს. მათგან, 73% ფუნქციონირებდა საბითუმო და საცალო სექტორში, 16% - მომსახურების სექტორში და 11% - მრეწველობის სექტორში. ხოლო, კერძო სექტორში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 86% და მცირე და საშუალო საწარმოები მოიცავდა მშპ-ს 60%-ზე მეტს (The United Arab Emirates' Government portal, 2023).

არაბეთის გაერთიანებული საემიროების მთავრობას მიაჩნია, რომ მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეების პოტენციალის გამოვლენაში და საშუალებას აძლევს მათ მცირე და საშუალო საწარმოების მეშვეობით იყვნენ საემიროების ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა. მთვარობა ცდილობს სამეწარმეო კულტურა დანერგოს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რათა ხელი შეუწყოს

მომავალ თაობას გაიუმჯობესონ ლიდერობის, შემოქმედებითობის და პასუხისმგებლობის უნარები.

საემიროებმა მცირე და საშუალო ბიზნესის გასაძლიერებლად გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

- შეიქმნა SME საბჭო, რომლის როლი არის მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიული გეგმების და პოლიტიკის შემუშავება, აუცილებელი წესებისა და რეგულაციების დაწესება ეროვნულ პროგრამასა და მონაწილე ორგანოებს შორის კოორდინაციის გასაძლიერებლად, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის;
- დაიწყო „ოპერაცია 300 მილიარდი“ (Operation 300bn), არაბეთის გაერთიანებული საემიროების ინდუსტრიული სტრატეგია, რომლის ფარგლებში ემირატების განვითრების ბანკი (Emirates Development Bank) წვლილს შეიტანს 13,500 მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში;
- ამოქმედდა შესაძლებლობების სამინისტრო (Ministry of Possibilities), რომლის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვები უფრო სწრაფი და ხელმისაწვდომი გახადოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;
- დამტკიცდა კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია 2019 (National Cybersecurity Strategy 2019), რომლის მიზანია ყოვლისმომცველი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს დანერგვა, რომელიც მოიცავს ყველა სახის კიბერდანაშაულს, დაიცავს არსებულ და განვითარებად ტექნოლოგიებს, ასევე დაიცავს მცირე და საშუალო ბიზნესს ყველაზე გავრცელებული კიბერ საფრთხეებისგან.

ერთ-ერთ მთავარი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 2007 წლიდან მხარს უჭერს მცირე და საშუალო საწარმოებს წარმოადგენს ხალიფას ფონდი (Khalifa Fund), რომელმაც ეხმარება ემირატელ მეწარმეებს შემდეგი მომსახურებით:

- ბიზნეს კონსულტაცია;
- ფინანსური რჩევა და მხარდაჭერა;

- ბიზნესის მონიტორინგი და დაფინანსებული პროექტების მხარდაჭერა;
- ტექნიკური მხარდაჭერა;
- ტრენინგი და უნარების განვითარება.

ასევე, უნდა აღინიშნოს ორგანიზაცია „დუბაი - მცირე და საშუალო ბიზნესი“ (Dubai SME), რომელიც მხარს უჭერს მოქალაქეებს დააარსონ მცირე და საშუალო საწარმოები დუბაიში. იგი შეიქმნა 2002 წელს, როგორც ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ინტეგრირებული განყოფილება და როგორც მზარდი მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის მხარდაჭერის, ინფორმაციისა და ურთიერთობის რესურსი (The United Arab Emirates' Government portal, 2023).

ევროპის ეკონომიკა ეფუძნება მცირე და საშუალო ბიზნესს და წარმოადგენს ევროკავშირში არსებული ბიზნესების 99%-ს. ამ სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი და შეადგენს ევროპის მშპ-ს ნახევარზე მეტს. მცირე და საშუალო ბიზნესი ასტიმულირებს ინოვაციის დანერგვას, რესურსები ეფექტიანად გამოყენებას, სოციალურ თანასწორობას. მათი განვითარება აუცილებელია ევროპის კონკურენტიანობისა და კეთილდღეობის, ეკონომიკური და ტექნოლოგიური სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად (European Commission, 2023).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად მთავარი მისია აკისრია ეკონომიკურ საქმეთა და ექსპორტის კონტროლის ფედერალურ სამსახურს (BAFA). იგი მცირე და საშუალო ბიზნესს სთავაზობს არაერთ პროგრამას კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი პროგრამა კი უზრუნველყოფს ბიზნესის არსებითი ცვლილებების განხორციელების მხარდაჭერას (Federal Office for Economic Affairs and Export Control, 2022). სამსახურის მნიშვნელოვანი ამოცანაა საკონსულტაციო სერვისების ხელშეწყობა, კერძოდ, ბიზნესის მართვის, ახალ კონკურენტულ პირობებთან ადაპტირების და სხვა საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად გაიცემა ფინანსური დახმარება.

ორგანიზაცია მხარს უჭერს გერმანული კომპანიების მონაწილეობას ბაზრობებსა და გამოფენებში, რომლებიც იმართება საზღვარგარეთ. აღნიშნული ბიზნესს ეხმარება რეკლამაში ხარჯები დაზოგვაში და კონტაქტების დამყარებით ცნობადობის

ამაღლებაში. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების კვლევის ინსტიტუტი (Institut für Mittelstandsforschung) იღებს ყოველწლიურ ფინანსურ დახმარებას, რათა მოიკვლიოს მცირე და საშუალო კომპანიების მდგომარეობა, მათი პრობლემები და სტრატეგიები. გერმანიის მრეწველობის რაციონალიზაციისა და ინოვაციების ცენტრი (Rationalisierungs- und Innovationszentrum der Deutschen Wirtschaft e. V.) და ეკონომიკური ადმინისტრირების სამუშაო ჯგუფი (Arbeitsgemeinschaft für wirtschaftliche Verwaltung) ბიზნესის დასაფინანსებლად გასცემს გრანტებს.

ეკონომიკურ საქმეთა და ექსპორტის კონტროლის ფედერალური სამსახურის ერთ-ერთი პროექტია პროფესიული სწავლების ცენტრების შექმნა, მოდერნიზაცია და აღჭურვა, ხელოსნობის სექტორისა და წარმოების ინდუსტრიის განსავითარებლად. მცირე და საშუალო ბიზნესს განსაკუთრებით უჭირთ კვალიფიციური მუშახელის დაქირავება. 2015 წელს ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალურმა სამინისტრომ გააფართოვა ამ მიზნით არსებული პროგრამების მხარდაჭერა.

გერმანიას ევროპის მასშტაბით აქვს ყველაზე მაღალი მშპ (Trading Economics, 2022). გერმანიაში ოპერირებს მცირე და საშუალო 3,467 მილიონი ბიზნესი, რაც ყველა კომპანიის 99.5%-ს შეადგენს და ჰყავდათ დაახლოებით 17,77 მილიონი თანამშრომელი (Institute for SME Research Bonn, 2018). გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესს ახასიათებს კრიზისის „ამტანობა“. 2008-2009 წლებში ფინანსურმა კრიზისმა გაცილებით ნაკლები ეფექტი იქონია მცირე და საშუალო ბიზნესებზე, ვიდრე მსხვილ ბიზნესებზე. მიუხედავად ამისა, კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აღნიშნულ სექტორს. 2020 წელს ბიზნესმა გაყიდვებში 277 მილიარდი ევროს ზარალი მიიღო. მიუხედავად გაყიდვების შემცირებისა, მცირე და საშუალო ბიზნესის ადაპტაციის უნარის წყალობით, მომგებიან ბიზნესებად დარჩნენ, გაყიდვებიდან საშუალო ანაზღაურება მხოლოდ 7,5%-დან 7,3-მდე დაეცა (Rödl & Partner, 2022). ბაზარზე მოქნილობა და მომხმარებლების ცვალებად საჭიროებებზე მარტივად მორგება მცირე და საშუალო ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა.

გერმანიაში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომელთა მოტივაციას და პროდუქტიულობის ზრდას. მსხვილი ბიზნესისგან განსხვავებით, სადაც

დამახასიათებელია ბიუროკრატიული მართვის სტანდარტი და მარეგულირებელი ჩარჩოები, მცირე და საშუალო ბიზნესი გამოირჩევა თანამშრომლებთან ინდივიდუალური მიდგომით. უწყვეტი საინვესტიციო დაგეგმვა წარმოადგენს გარანტს, რომ შენარჩუნებული იყოს ბიზნესის მოქნილობა, რაც დამახასიათებელია გერმანული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ბიზნესს ყოველთვის უნდა შეეძლოს სტრატეგიების დასახვა, სიახლეების დაგეგმვა და დაფინანსება, წინააღმდეგ შემთხვევაში გრძელვადიან პერსპექტივაში საქმიანობას ვეღარ შეძლებს.

ესტონეთში 2023 წელს მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 81%. ამავე წელს ყველა საწარმოების 94% იყო მიკრო საწარმოები, ანუ კომპანიები, სადაც 10-ზე ნაკლები თანამშრომელი მუშაობდა. მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებზე საბაზისო საპროცენტო განაკვეთი (1 მილიონ ევრომდე) 2023 წელს 3,75% იყო, ხოლო 2024 წელს 4,08% შეადგინა. უფრო დიდ სესხებზე კი საპროცენტო განაკვეთი 2024 წელს 3,44% იყო. 2023 წელს საწარმოების მხოლოდ 0,1% იყო კატეგორიზებული მსხვილ საწარმოებად, სადაც დასაქმებული იყო 250-ზე მეტი ადამიანი (OECD, 2024). ესტონეთი მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა გახდა, რაც გამოწვეულია დაბალი საგადასახადო განაკვეთებით და ბიზნესის კეთების სიმარტივით. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესში რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება. ასევე, ესტონეთმა გაამარტივა კომპანიის რეგისტრაციის პროცესი, რაც საშუალებას იძლევა შექმნან ბიზნესი ონლაინ, რამდენიმე საათში. არარეზიდენტებისთვის, ესტონეთს აქვს უნიკალური e-Residency პროგრამა, რომელიც მომხმარებელს ანიჭებს ციფრული წვდომის შესაძლებლობას ესტონეთის ბიზნეს სერვისებზე, რაც შესაძლებელს ხდის კომპანიის დისტანციურ ფორმირებას. ესტონეთი ლიდერია ციფრულ სამთავრობო სერვისებში, თითქმის ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია ონლაინ, რაც ზოგავს დროსა და რესურსებს. ესტონეთი გამოირჩევა მაღალგანათლებული და ტექნიკურად გათვითცნობიერებული მუშახელით, რაც აადვილებს კვალიფიციური თანამშრომლების პოვნას. ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ხელსაყრელი კანონმდებლობა არის ის, რაც ესტონეთს მიმზიდველს ხდის

საერთაშორისო მეწარმეებისთვის. აღნიშნული გახდა მიზეზი იმისა, რომ ესტონეთში სტარტაპების ბუმია (Tax Business Advisors, 2024).

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე და საშუალო ბიზნესი სამუშაო ადგილების ზრდის და ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (Small Business Administration (SBA)) გამოსცემს ოფიციალურ სახელმძღვანელოებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რითიც განსაზღვრულია ბიზნესების ტიპები, დასაქმებულთა რაოდენობა და შემოსავალი. მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობა 32.5 მილიონს უტოლდება (Zhou, 2023) და ბოლო ათწლეულების განმავლობაში კერძო სექტორში სამუშაო ადგილების თითქმის ორ მესამედს ქმნის (Office of the United State Trade Representative, 2023). ამერიკაში არსებული ბიზნესების 99.9%-ს მცირე ბიზნესი შეადგენს, სადაც დასაქმებულია 61.2 მილიონი ადამიანი, რაც ამერიკაში დასაქმებულთა 46.8%-ს წარმოადგენს (US SMALL BUSINESS ADMINISTRATION Office of Advocacy, 2021). დასაქმების თვალსაზრისით გამოვლენილია 5 მოწინავე სფერო :

1. ჯანდაცვა და სოციალური დახმარება;
2. განთავსების და კვების მომსახურება;
3. საცალო ვაჭრობა;
4. მშენებლობა;
5. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება (Indeed Editorial Team, 2023).

ის ბიზნესები, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და იხდიან უფრო მაღალ ხელფასს, ვიდრე ბიზნესები, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე საქმიანობენ. აშშ-ს ექსპორტიორთა 98% სწორედ მცირე ბიზნესზე მოდის. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია კანადა, ჩინეთი, მექსიკა, იაპონია და გაერთიანებული სამეფო. აშშ-ს მთავრობის პოლიტიკა მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენციის გაზრდისკენ, რის მიღწევასაც სატარიფო და არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერებით, საბაჟო პროცედურების გამარტივებით, ელექტრონული კომერციის

ხელშეწყობით, ეფექტიანი და გამჭვირვალე მარეგულირებელი რეჟიმების შემუშავებით ცდილობს. ამ მიზნების მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- მაღალი ტარიფების შემცირება;
- ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება, რომლებიც ართულებს მცირე და საშუალო ბიზნესის ახალ ბაზრებზე წვდომას;
- ციფრული ვაჭრობისთვის და ინტერნეტ წვდომისთვის ხელის შეწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბიზნესის წვდომა გლობალურ ბაზარზე;
- მცირე ბიზნესის დახმარება გლობალურ მიწოდების ქსელში ინტეგრირებისთვის.

შტატებში ფუნქციონირებს მცირე ბიზნესის განვითრების ცენტრი (Small Business Development Centers), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალური, ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევას არსებული და დამწყები მცირე ბიზნესებისთვის. ცენტრი ბიზნესებს ეხმარება პრობლემების გადაჭრაში, რაც დაკავშირებულია: კაპიტალზე წვდომასთან, ტექნოლოგიურ განვითარებასთან, ბიზნესის დაგეგმვასთან, სტრატეგიის შემუშავებასთან, ფინანსურ მენეჯმენტთან, პერსონალის ადმინისტრირებასთან, მარკეტინგთან, ექსპორტის ხელშეწყობასთან, გაყიდვებთან, მენეჯმენტის გაუმჯობესებასთან, ინოვაციების დანერგვასთან, პროდუქტიულობის გაზრდასთან და სხვა საკითხებთან (US Small Business Administration, 2023). ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ბიზნეს მენტორინგის ორგანიზაცია „SCORE“, რომელიც არის ქვეყნის უმსხვილესი მოხალისეთა ქსელი, დაკომპლექტებული ექსპერტი ბიზნეს მენტორებით. ექსპერტები უშუალოდ მონაწილეობენ და ეხმარებიან მცირე ბიზნესის დაგეგმვაში, წამოწყებაში, მართვასა და გაზრდაში. ორგანიზაცია არაკომერციულია და მიზნად ისახავს ბიზნესთან დაკავშირებული საკითხების სწავლებას საგანმანათლებლო სემინარების მეშვეობით (US Small Business Administration, 2023).

ამერიკაში არსებობს ფედერალური მთავრობის პორტალი Grants.gov, სადაც ხელმისაწვდომია ათასობით საგრანტო პროექტი და უდიდესი მონაცემთა ბაზა (Grants.gov, 2023). მათ შორისაა, ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის გრანტები (National Institute of Health Grants), რომელიც ამჟამად აფინანსებს კვლევებს COVID-19-თან

დაკავშირებით. გრანტები განკუთვნილია მცირე ბიზნესისთვის, რომლებიც ავითარებს და იკვლევს ბიოსამედიცინო ტექნოლოგიებს. ასევე, მცირე ბიზნესის ინოვაციების კვლევის პროგრამა (Small Business Innovation Research Program) მცირე ბიზნესს სთავაზობს გრანტებს, რათა მიიღონ მონაწილეობა ფედერალურ კვლევასა და განვითარებაში კომერციალიზაციის პოტენციალით. პროგრამა ეხმარება ბიზნესს მიაღწიოს მეცნიერულ განვითარებას და ინოვაციების შექმნას ტექნოლოგიებში. პორტალზე გვხვდება აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოების პროგრამა (U.S. Small Business Administration State Trade Expansion Program), რომელიც ეხმარება მცირე ბიზნესს პროდუქტის ექსპორტში. გრანტის მიღება არ არის მარტივი. გრანტის მისაღებად საჭიროა საკმაოდ ბევრი დოკუმენტის შევსება და წარდგენა (US Chamber of Commerce, 2023). ამასთან, გრანტის მისაღებად აპლიკანტს უნდა ქონდეს სამართლებრივი და ადმინისტრაციული უფლებები. გარდა ამისა, პროექტის მიმდინარეობის პროცესში მუდმივად ხდება ანგარიშების მომზადება აუდიტის მოთხოვნების შესაბამისად.

1.3 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი საერთაშორისო ინსტიტუტები

საერთაშორისო ორგანიზაციები მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს უწყობენ მის განვითარებას. საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რესურსები მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესისაკენ, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მათი სოციალურ-ეკონომიკური გავლენა (Cravo & Piza, 2016). აღნიშნული სექტორის მხარდაჭერა დადებით გავლენას ახდენს სოციალურ კეთილდღეობაზე, ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე (Lyubchenko & Syroizhko, 2023). გლობალური სააგენტოებიდან და ორგანიზაციებიდან

სექტორის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სავაჭრო პალატას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციას, მსოფლიო ბანკს და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of Commerce) არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1919 წელს. იგი ხელს უწყობს ბიზნესს გადაწყვიტოს მის წინაშე არსებული პრაქტიკული და მეთოდური ამოცანები. პალატა აერთიანებს ათასობით კომპანიასა და საწარმოს მსოფლიოს 150 ქვეყნიდან. ორგანიზაცია იღებს შესაბამის ზომებს, რათა დააკავშიროს მცირე და საშუალო ბიზნესები დაფინანსების სერვისების პროვაიდერებთან, ამასთან, უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესებს ჰქონდეთ წვდომა კაპიტალზე. ორგანიზაციაში არსებული სამეწარმეო ცენტრი ახორციელებს მსმენელების გადამზადებას და მათთვის ისეთი უნარების განვითარებას, რაც საჭიროა მეწარმეებად ჩამოყალიბებისათვის (International Chamber of Commerce, 2024). ორგანიზაციის მთავარი ამოცანებია ინვესტირებისა და ვაჭრობის საფუძველზე, პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით კომერციული საქმიანობის წესების სტანდარტების უნიფიცირება (Economic and Social Commission for Asia and the Pacific, 2024).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labour Organization) უმთავრესად უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესების პოლიტიკის შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გაწევას და მცირე ბიზნესში სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის გამოვლენას. იგი ფოკუსირებულია შემდეგი ოთხი მიმართულებით:

- მეწარმეობისა და მენეჯმენტის უნარების განვითარება;

- ბაზრებზე წვდომა;
- ხელსაყრელი გარემოს შექმნა მდგრადი წარმოებისთვის;
- სამუშაო პირობების გაუმჯობესება (Economic and Social Commission for Asia and the Pacific, 2024).

ორგანიზაციის მიზანია ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის განვითარება, რომელიც მიიღწევა შრომის საერთაშორისო სტანდარტებით. ორგანიზაცია შეიქმნა 1919 წელს და მასში გაწევრიანებულია 187 ქვეყანა (International Labour Organization, 2024).

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation) თავისი პროგრამებით ხელს უწყობს რეფორმებს, რომელიც მხარს უჭერს კერძო სექტორის განვითარებას. კორპორაცია საინვესტიციო და საკონსულტაციო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესს დაახლოებით 80 ქვეყანაში. კორპორაცია ფოკუსირებულია ბიზნესის განვითრების ყველა ფაზაზე: საინვესტიციო-კლიმატის რეფორმა, მართვის უნარების განვითარება, ფინანსებზე წვდომა, ბაზრებზე წვდომა და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო და საინვესტიციო პორტფელი ფოკუსირებულია მცირე შემოსავლების მქონე და საზღვრისპირა ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დახმარებაზე. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია გასცემს რეკომენდაციებს და დაფინანსებას, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის საფინანსო ფონდის მეშვეობით, დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მდგრადი და მასშტაბური გზით, ასევე მხარს უჭერს ფინანსური სერვისების მიწოდების ახალი რეჟიმების გავრცელებას (Economic and Social Commission for Asia and the Pacific, 2024). საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია აუმჯობესებს ადამიანების ცხოვრებას განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდით (International Finance Corporation, 2024).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund) ხელს უწყობს შეზღუდვებისა და პოლიტიკის იდენტიფიცირებას, რაც გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე. ფონდის საქმიანობის ანალიზი

აჩვენებს, რომ ეკონომიკური საფუძვლები და ფინანსური სექტორის მახასიათებლები, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, შეზღუდული საჯარო სექტორის ზომა (მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტზე ხელმისაწვდომობის თავიდან ასაცილებლად), ფინანსური სექტორის სიმტკიცე, კონკურენტუნარიანი საბანკო სისტემა და უფრო ფართოდ, კონკურენტუნარიანი და ღია ეკონომიკა, მნიშვნელოვანი ფაქტორებია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად (Economic and Social Commission for Asia and the Pacific, 2024). საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის გლობალური ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს მისი 190 წევრი ქვეყნის კეთილდღეობისა და მდგრადი განვითრებისა მისაღწევად. ფონდი დასახულ მიზნებს აღწევს ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერით, რომელიც ხელის შემწყოფ ფაქტორს წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობისა და ფულადი თანამშრომლობის მიმართულებით, რაც აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნის, პროდუქტიულობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად (Internaational Monetary Fund, 2024).

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ორიენტირებულია ვაჭრობის ხელშეწყობაზე, რომელიც მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესს. ცენტრმა განავითარა ახალი კომპეტენციები სავაჭრო პოლიტიკისა და რეგულირების სპეციფიკურ ასპექტებში. ცენტრი განვითარებად ქვეყნებში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს, პოლიტიკის გამტარებლებს და ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს სთავაზობს ვაჭრობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ სწავლებას, საკონსულტაციო სერვისებს და ბიზნესთან დაკავშირებულ მონაცემებთან წვდომას. ორგანიზაცია ეხმარება ბიზნესებს გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები და შექმნან უკეთესი მარეგულირებელი გარემო ვაჭრობისთვის (International Trade Center, 2024).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ახდენს მონაცემებისა და ანალიზის შემუშავებას, რაც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ზრდას და კვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნას. ორგანიზაცია მოიცავს სხვადასხვა სფეროებს, მათ შორისაა, მცირე და საშუალო ბიზნესების პროდუქტიულობა, დაფინანსება, დიგიტალიზაცია. ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიზანია ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს თანასწორობას, შესაძლებლობებს და კეთილდღეობას ყველასთვის (Organisation for Economic Co-operation and Development, 2024). ორგანიზაციის წევრების უმეტესობა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებია, რომლებიც განიხილება განვითარებულ ქვეყნებად.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (United Nations Industrial Development Organization) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული სააგენტო, რომელსაც აქვს უნიკალური მანდატი, ხელი შეუწყოს და დააჩქაროს ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიული განვითარება. ორგანიზაციის ბიზნესის, საინვესტიციო და ტექნოლოგიების სერვისების ფილიალი (BIT) მხარს უჭერს შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებს, პარტნიორობას და ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, რათა ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას საწარმოო ინდუსტრიებში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საწარმოთა კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე, ინვესტიციების მობილიზებასა და შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაზე. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია მხარს უჭერს თავის 172 წევრ სახელმწიფოს ოთხი მანდატიანი ფუნქციით:

1. ტექნიკური თანამშრომლობა;
2. კვლევა და საკონსულტაციო მომსახურება;
3. ნორმატიულ სტანდარტებთან დაკავშირებული საქმიანობა;
4. ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემისათვის პარტნიორობის ხელშეწყობა (United Nations Industrial Development Organization, 2024).

მსოფლიო ბანკის (World Bank) მუშაობის ძირითადი სფეროა მცირე და საშუალო ბიზნესების ხელმისაწვდომობის ზრდა ფინანსებზე. მსოფლიო ბანკი აუმჯობესებს საკრედიტო ინფრასტრუქტურას, რაც იწვევს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას. იგი უზრუნველყოფს ინოვაციების დანერგვას მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით, რაც მოიცავს

ელექტრონული დაკრედიტების პლატფორმებს, ალტერნატიული მონაცემების გამოყენებას საკრედიტო გადაწყვეტილებების მისაღებად, ელექტრონულ ინვოისირებას, ელექტრონულ ფაქტორინგს და მიწოდების ჯაჭვის დაფინანსებას. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ანალიტიკური სამუშაოს გაწევას და სხვა საკონსულტაციო მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესის საფინანსო საქმიანობის მხარდასაჭერად. იგი განსაკუთრებულად უჭერს მხარს ქალთა საკუთრებაში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს (The World Bank, 2024). მსოფლიო ბანკი განვითარებადი ქვეყნებისთვის დაფინანსების და ცოდნის ერთ-ერთი უდიდესი წყაროა მსოფლიოში. იგი შედგება შემდეგი ინსტიტუტებისთან:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი;
2. საერთაშორისო განვითარების ასოციაცია;
3. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;
4. მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო;
5. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (The World Bank, 2024).

საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი უზრუნველყოფენ განვითარებადი ქვეყნების მთავრობების ტექნიკურ დახმარებასა და დაფინანსებას. ასოციაცია ფოკუსირებულია მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნების დახმარებაზე, ხოლო საერთაშორისო ბანკი ფოკუსირებულია საშუალო შემოსავლიან და კრედიტუნარიან ღარიბ ქვეყნებზე.

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტოს მთავარი საორიენტაციო მომართულება განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის გაძლიერებაა. აღნიშნული ინსტიტუტების დახმარებით მსოფლიო ბანკი კერძო საწარმოებს, მათ შორის, ფინანსურ ინსტიტუტებსაც, უწევს ტექნიკურ დახმარებას, აფინანსებს, უზღვევს პოლიტიკურ რისკებს და ეხმარება დავების გადაწყვეტაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organizatio) არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ეხება ვაჭრობის გლობალურ წესებს. მისი მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს ვაჭრობის ნაკადი რაც შეიძლება შეუფერხებლად, პროგნოზირებულად და თავისუფლად. ორგანიზაცია მიზნად ისახავს განახორციელოს იდენტიფიცირება და აღმოფხვრას დაბრკოლებები მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში. ამასთან, ორგანიზაცია იღწვის, რომ ვაჭრობა წარიმართოს მაქსიმალური დასაქმების, ცხოვრების დონის ამაღლების, რეალური შემოსავლების გაზრდისა და საქონლით/სერვისებით გლობალური ვაჭრობის გაფართოების მიზნით, ასევე, მსოფლიო რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებით. პლატფორმა ამარტივებს ბაზრის კვლევას კომპანიებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, სავაჭრო და ბიზნეს ინფორმაციის ერთ ონლაინ პორტალში ინტეგრირებით. ორგანიზაციის ვაჭრობის, ვალისა და ფინანსების სამუშაო ჯგუფი განიხილავს იმას, თუ როგორ შეიძლება ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ზომებმა ხელი შეუწყოს განვითარებადი ქვეყნების წინაშე არსებული ვალების პრობლემების გადაჭრას და როგორ გააუმჯობესოს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობა. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები ინფორმაციას ცვლიან თავიანთი პოლიტიკის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის კრეატიულობის, გამომგონებლობისა და ინვესტიციების მხარდაჭერას კვლევებსა და ტექნოლოგიებში (World Trade Organization, 2024).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ხელ უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი ინოვაციური ფირმებისთვის ფინანსებზე წვდომის გაადვილებაა. ევროპის 23 მილიონი მცირე ბიზნესი წარმოადგენს მთლიანად ბიზნესის 99%-ს და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების დაახლოებით სამ მეოთხედს (European union, 2024). 2009 წლიდან ევროკავშირი საქართველოში ახორციელებს პროექტს „EU4Business“, რომლის ფარგლებში მოქმედებს 50-მდე პროექტი, საერთო ბიუჯეტით 320 მილიონ ევროზე მეტი. 2019 წელს საქართველოში განხორციელდა 36000-ზე მეტი ბიზნესის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებში შეიქმნა

30000 სამუშაო ადგილი (EU4Business, 2024). პროექტი „EU4Business“ მცირე და საშუალო ბიზნესს უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესებაში ეხმარება, ასევე, მხარს უჭერს მათ ევროპულ ბაზრებზე წვდომასა და ბიზნესკავშირების დამყარებას. ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროპა უფრო მიმზიდველ ადგილად აქციოს კომპანიების შექმნისა და ბიზნესის წარმოებისთვის (European Parliament, 2023).

ევროპის საინვესტიციო ბანკი (European Investment Bank) ევროკავშირის საკრედიტო ინსტიტუტია, რომელიც საქმიანობა მოიცავს კლიმატის, გარემოს დაცვის, მცირე და საშუალო ბიზნესის და ინფრასტრუქტურის საკითხებს. მან დიდი როლი ითამაშა ევროპის ფინანსებით უზრუნველყოფაში კრიზისების დროს, მათ შორის 2008 წლის ფინანსური კრახისა და COVID-19 პანდემიის პერიოდში (Wikipedia, 2024). 2023 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოყო დაახლოებით 20 მილიარდი ევრო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად (European Investment Bank, 2024). ბანკი განსაკუთრებით ისეთ რეგიონებს ეხმარება, სადაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არის დაბრკოლება ეკონომიკური ზრდისთვის.

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი (European Economic and Social Committee) არის ევროკავშირის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც 1958 წელს დაარსდა. იგი შედგება დამსაქმებელთა ასოციაციების, მშრომელთა გაერთიანებების (პროფკავშირების) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან (European Economic and Social Committee, 2024). კომიტეტი ევროპული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად ახორციელებს ინკლუზიურ, თანმიმდევრულ და ეფექტიან პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესის საჭიროებებს (Mastantuono, 2023). ბოლო წლებში კომიტეტი გახდა მთავარი მოთამაშე ევროკავშირის დონეზე სოციალური მეწარმეობის და სოციალური ეკონომიკის ხელშეწყობაში (European Economic and Social Committee, 2024).

ევროპის კომისია (European Commission) მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ახორციელებს ანალიზს, აზიარებს საუკეთესო პრაქტიკას, პროგრამებსა და პოლიტიკის ინიციატივებს. კომისიის

სტრატეგიაა მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, რომლებიც ჩართულნი არიან მდგრადი ბიზნესის განვითარებაში და რომლებიც იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. კომისიის სამეწარმეო პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიების მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და სამეწარმეო განათლების ხელშეწყობას (European Commission, 2020). ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებებით:

- სამეწარმეო განათლება;
- მეწარმე ქალები;
- ოჯახური ბიზნესი;
- გადახდისუუნარობის პრევენცია და მეორე შანსი;
- ევროპის საწარმოების ხელშეწყობის ჯილდოები;
- საწარმოთა ევროპის ქსელი;
- მიგრანტი მეწარმეები (European Commission, 2024).

ევროპის საინვესტიციო ფონდი (European Investment Fund), რომელიც დაარსდა 1994 წელს, არის ფინანსური ინსტიტუტი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის. ბანკის აქციონერები არიან ევროპის საინვესტიციო ბანკი (62%), ევროკავშირი, წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ (29%), ასევე, ევროკავშირის საჯარო და კერძო ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები (9%) (European Investment Fund, 2024). ბანკი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების სტიმულირებას სასესხო პორტფელების ნაწილობრივი რისკის დაფარვით. ევროპის საინვესტიციო ბანკმა 2015 წლიდან უზრუნველყო 280 მილიონ ევროზე მეტი გარანტიების გაცემა მთელ ევროპაში (European Investment Fund, The SME Initiative, 2024).

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების სპეციფიკა საქართველოში

2.1 მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი გამოწვევები

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, ყოფილ საბჭოთა კავშირში „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ და „კოოპერაციების შესახებ“ ახალი კანონების მიღებით. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საწარმოების წარმოქმნა ამხანაგობების, ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების, ინდივიდუალური კერძო საწარმოების სახით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წარმოუდგენელია კერძო საკუთრების გარეშე (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2005). მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კი დაიწყო პრივატიზების პროცესი. შედეგად, სახელმწიფომ გაასხვისა ის საწარმოები, რომლებსაც ეფექტიანად ვეღარ მართავდა. ამ პერიოდში დაიხურა მრავალი მცირე და საშუალო ზომის საწარმო, რადგან წარმოებულ პროდუქტს არ ჰქონდა გასაღების ბაზარი, არ არსებობდა საკმარისი კაპიტალი, ბიზნესის სამართავად არ არსებობდა შესაბამისი განათლება და გამოცდილება, ამასთან, ფინანსებზე წვდომა იყო შეზღუდული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში ბიზნესი იყო არაკონკურენტუნარიანი, არამომგებიანი და არაეფექტიანი, ვერ ხორციელდებოდა შემოსავლების და დანაზოგების აკუმულირება, ინვესტიციების მოზიდვა. აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონე და ხარისხი იყო დაბალი. თუმცა ფაქტია, რომ სწორედ ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკას, ხოლო სახელმწიფო საკუთრების კერძო მფლობელებზე გასხვისების პროცესი დღემდე მიმდინარეობს. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად საქართველოში ხელსაყრელი გარემოა, რაც განპირობებულია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით, რომელიც განლაგებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე საქართველოში არსებობს დაუსაქმებელი სამუშაო ძალა.

საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ეწევა მომსახურებას ან აწარმოებს საქონელს. იგი საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ ეკონომიკურ

გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. საწარმო შესაძლებელია იყოს ფიზიკური (ინდივიდუალური) ან იურიდიული პირი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

მიკრო ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებული პირების შრომას და ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა დამოუკიდებლად. ეკონომიკურ საქმიანობაა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კომპენსაციის ან შემოსავლის მისაღებად ხორციელდება, მიუხედავად საქმიანობის შედეგისა. ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება ქველმოქმედებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაქირავებით მუშაობა, რელიგიური საქმიანობა და ფიზიკური პირების მიერ ფულის განთავსება ბანკებში, ასევე სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ანაბრებსა და დეპოზიტებზე. ამასთან, ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა, რაც დაკავშირებულია მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება ფასიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე. მიკრო ბიზნესიდან კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010). თუმცა მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა, სტატუსის მინიჭება და გაუქმება ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N999 , 2010). უნდა აღინიშნოს, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი საშემოსავლო გადასახადს არ იხდის. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება ხდება მეწარმე ფიზიკური პირისათვის, რომლის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500000 ლარს.

მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელიც აკმაყოფილებს დასაქმებულების საშუალო წლიური რაოდენობის და წლიური ბრუნვის ზღვრულ ოდენობებს.

ცხრილი 2.1.1 ბიზნესის რაოდენობრივი პარამეტრები

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	წლიური ბრუნვა (ლარი)
მცირე	<50	<12 მლნ
საშუალო	50-დან 250-მდე	12 მლნ-დან 60 მლნ-მდე
მსხვილი	>250	>60მლნ

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021)

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა (SME) ქვეყნაში არსებული საწარმოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მოქმედ საწარმოებში 2020 წელს 99.7%-ს შეადგინა, ხოლო მთლიან დასაქმებაში - 59.3%. 2021 წელს მთლიან დასაქმებაში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა წილმა 61.8% შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოში 2023 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 748.5 ათასი კაცი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 3,96%-ით ჩამორჩება. ხოლო, 2024 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებული იყო თითქმის 866.2 ათასი ადამიანი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025).

2010 წლიდან ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, გარდა 2020 წლისა. ამ წელს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდის შეჩერება გამოწვეულია პანდემიით. 2020 წლის შემდეგ კი მაჩვენებელი ზრდას კვლავ განაგრძობს.

დიაგრამა 2.1.1 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2010-2024 წლებში (ათასი კაცი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)

2010-2019 წლებში მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ხოლო 2020 წლიდან მცირდება. ბოლო 3 წლის განმავლობაში საშუალო ზომის ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია მცირე და მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობაზე.

დიაგრამა 2.1.2 დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2010-2024 წლებში (ათასი კაცი)



	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
მსხვილი	131,86	153,24	169,44	178,42	186,51	198,58	217,80	233,58	243,31	265,18	261,71	284,18	311,00	332,59	341,26
საშუალო	104,27	118,68	118,02	125,92	126,43	137,17	142,44	145,46	160,09	152,51	152,45	146,95	158,00	163,08	176,22
მცირე	161,66	231,30	246,93	246,53	279,20	290,98	306,54	329,11	330,80	339,15	289,70	313,12	310,40	327,87	348,66

წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)

2010 წლიდან 2024 წლამდე მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა აჭარბებდა მსხვილ და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობას, გარდა 2023 წლისა. პანდემია ყველაზე ნაკლებად საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობას შეეხო, ხოლო მცირე და მსხვილი ბიზნესი საკმაოდ დააზარალა.

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას 2024 წელს რეგიონების მიხედვით 540 ათასი კაცამდე თბილისი ლიდერობს, რასაც მოსდევს აჭარა, იმერეთი და ქვემო ქართლი.

დიაგრამა 2.1.3 დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2024 წელს (ათასი კაცი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)

საგულისხმოა, რომ თბილისში მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს მთელ ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობის 62%-ზე მეტს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, გურიაში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა მთიანეთში აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 20 ათასს არ აღემატება.

მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2010 წლიდან იზრდება. საგულისხმოა, რომ 2010 წელს მცირე ბიზნესში

დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 422 ლარი იყო, ხოლო საშუალო ბიზნესში - 605 ლარი.

გრაფიკი 2.1.1 მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2010-2024 წლებში (ლარი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)

2024 წელს მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურებამ 1438 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 2444 ლარი იყო.

ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად ბოლო წლებში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რამაც განაპირობა საერთაშორისო ავტორიტეტულ რეიტინგებში საქართველოს პოზიციების დადებითი ცვლილება. მსოფლიო ბანკის მონაცემების

მიხედვით „ბიზნესის კეთებაში” საქართველომ 2020 წელს 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა (The World Bank, 2024). 2003 წლიდან ქვეყანაში 51 რეფორმა განხორციელდა, რაც ეხებოდა როგორც მარეგულირებელი, ასევე ინსტიტუციური გარემოს დახვეწას.

ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები შეეხებოდა ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებას, კერძოდ, 2005 წლიდან მათი რაოდენობა 90%-ით შემცირდა (საქართველოს მთავრობა, 2016). ამ ეტაპზე ნებართვები და ლიცენზიები საჭიროა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქტების წარმოებისას, მომსახურების გაწევისას, სპეციფიკური საქმიანობისას და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დროს. საგულისხმოა, რომ გამარტივდა ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის პროცესიც, რაც გულისხმობს „ერთი სარკმლის პრინციპით“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ მიდგომებს. რეფორმა შეეხო საგადასახადო პოლიტიკასაც, შემცირდა გადასახადების განაკვეთები და რაოდენობა, 2006 წლამდე არსებული 21 სახის გადასახადიდან მხოლოდ 6 სახის გადასახადი დარჩა. რეფორმების შედეგად, რომელიც განხორციელდა საბაჟო სფეროში, გამარტივდა საგარეო ვაჭრობა. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან, მას შემდეგ რაც DCFTA ძალაში შევიდა, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობა ხორციელდება ტარიფების გარეშე (საქართველოს მთავრობა, 2016). უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სახლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხორციელდება 400 დასახელების მომსახურების გაწევა, რაც ამცირებს მომსახურების მიღების დროს, ხარჯებს და კორუფციის რისკსაც. რეფორმები შეეხო ქონების რეგისტრაციასაც, რამაც გაამარტივა პროცედურები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი 2020“-ის მიხედვით, 2016 წელთან შედარებით საქართველოს შეფასება 12-ვე კომპონენტში გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესდა მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარები, სტანდარტები და რეგულაციები, ბიზნესის ხელშეწყობის სერვისები, ინოვაციური პოლიტიკა, სამეწარმეო სწავლება და სხვა ინდიკატორები.

2024 წელს საქართველოსი რეგისტრირებულია 1001 ათასი ბიზნეს სუბიექტი, მათ შორის მოქმედია 247 ათასი. ახლად დარეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობამ 2024 წელს შეადგინა 74 ათასი.

ცხრილი 2.1.2 საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები 2017-2024 წლებში (ათასი)

წლები	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით (ნაზრდი ჯამი, ათასი)	640	682	725	761	805	873	937	1001
მათ შორის: მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	158	158	167	170	177	207	231	247
ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	52	51	50	41	52	76	76	75
მათ შორის: ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	50	50	49	40	51.0	78	75	74

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

ბოლო წლებში იზრდება რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა. თუმცა, 2015 წელს მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობამ შეადგინა 27.9%, ხოლო 2022 წელს 23.5%. საგულისხმოა, 2015 წლიდან იზრდებოდა ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა, ხოლო 2020 წელს მაჩვენებელი შემცირდა, რაც სავარაუდოდ განაპირობა კორონავირუსის პანდემიამ. 2022 წლის მონაცემების მიხედვით, ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა შეადგენს 78.9 ათასს, მათ შორის 77.8 ბიზნეს სუბიექტია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

2025 წლის პირველი ოქტომბრის მონაცემებით აქტიურ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა საერთო რაოდენობამ 283,061 შეადგინა, მათ შორის მსხვილი ბიზნესი 800, საშუალო - 3,513, მცირე - 270,046, ხოლო 8,702 სუბიექტის ზომა უცნობია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025).

დიაგრამა 2.1.5 აქტიურ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2025 წელს



წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025).

2024 წლის პირველი აპრილის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა რეგიონების და ზომების მიხედვით მოცემულია ცხრილი 2.1.3-ში.

ცხრილი 2.1.3 საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა რეგიონების და ზომების მიხედვით 2025 წლის პირველი ოქტომბრის მონაცემებით

	მსხვილი		საშუალო		მცირე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქ. თბილისი	585	73.13	2151	61.23	120996	44.71
აფხაზეთი	0	0.00	2	0.06	8	0.00
აჭარა	57	7.13	361	10.28	30635	11.32
გურია	6	0.75	38	1.08	6083	2.25
იმერეთი	40	5.00	265	7.54	30344	11.21
კახეთი	16	2.00	129	3.67	14704	5.43
მცხეთა-მთიანეთი	15	1.88	59	1.68	5852	2.16
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0	0.00	21	0.60	2624	0.97
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	3.13	136	3.87	17225	6.36
სამცხე-ჯავახეთი	6	0.75	73	2.08	10308	3.81
ქვემო ქართლი	33	4.13	183	5.21	19375	7.16
შიდა ქართლი	17	2.13	95	2.70	12394	4.58

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

თბილისში საშუალო საწარმოთა 61.23%-ია, ხოლო მცირე საწარმოთა 44.71%. მცირე საწარმოთა 11.21% იმერეთში ფუნქციონირებს, ხოლო საშუალო საწარმოთა 10.28% აჭარაში.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს რეგისტრირებული საშუალო ბიზნესის 21.12% საქმიანობს საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის მიმართულებით, ხოლო 15.21% განათლების სფეროში.

ცხრილი 2.1.4 საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა საქმიანობის სახეების და ზომების მიხედვით 2025 წელს

საქმიანობის სახე	საშუალო		მცირე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	26	0.74	3508	1.30
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12	0.34	653	0.24
დამამუშავებელი მრეწველობა	299	8.51	17491	6.46
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	26	0.74	206	0.08
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	70	1.99	184	0.07
მშენებლობა	351	9.99	19604	7.24
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	715	20.35	78728	29.09
ტრანსპორტი და დასაწყობება	140	3.99	25707	9.50
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	191	5.44	10524	3.89

ინფორმაცია და კომუნიკაცია	114	3.25	24705	9.13
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	43	1.22	1578	0.58
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	53	1.51	8159	3.01
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	116	3.30	12865	4.75
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	99	2.82	7732	2.86
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	147	4.18	194	0.07
განათლება	702	19.98	6161	2.28
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	186	5.29	3380	1.25
ხელოვნება, გართობა და დასვენება	187	5.32	3223	1.19
სხვა სახის მომსახურება	26	0.74	6087	2.25
ექსტრატერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0	0.00	12	0.00
საქმიანობა უცნობია	10	0.28	39928	14.75

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

მცირე ბიზნესის 29.09% ოპერირებს საქმიანობს საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სფეროში, ხოლო 7.24% მშენებლობის სფეროში.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2013-2023 წლებში. მცირე საწარმოთა მიერ

გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ყოველ წელს აღემატება საშუალო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას.

დიაგრამა 2.1.5 მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2013-2023 წლებში (მლნ ლარი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესი მნიშვნელოვან ფინანსურ რისკთანაა დაკავშირებული. თუმცა დაგეგმვით, საჭიროებების გათვალისწინებით ძირითად გეგმაში, განხორციელებული ცვლილებებით და რეალობასთან მორგებით შესაძლებელია რისკების დაზღვევა. ბოლო პერიოდში კორონავირუსის პანდემიამ გვაჩვენა, რომ ბიზნესის მართვის ხისტი მიდგომები მხოლოდ უარყოფით შედეგს იძლევა. წარმატებული ბიზნესი მორგებული უნდა იყო გარემო პირობებთან, მათ შორის ფორსმაჟორულ სიტუაციებთან. მცირე და საშუალო ბიზნესი დამოკიდებულია მსხვილ ბიზნესებზე. ამასთან, ხელმძღვანელთა შეცდომები და დაბალი კომპეტენცია, ხშირ შემთხვევაში, გამოუსწორებელი ზიანის მომტანია. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბიზნესის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ბიზნესმენთა არაკომპეტენტურობაა. წარუმატებლობა შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთმა მიზეზებმაც, როგორიცაა თაღლითობა, ქურდობა, ხანძარი და სხვა.

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში საქართველოში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი კვლავ უკიდურესად დაბალია (Shaburishvili, 2016). მცირე და საშუალო ბიზნესი ისევ აწყდება რიგ სირთულეებს სხვადასხვა სფეროებში, აღნიშნული კი ნეგატიურ გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალზე.

მნიშვნელოვნად საჭიროებს გაუმჯობესებას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტები. მაგალითად, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ნაკლებადაა ფოკუსირებული კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესზე. მისი მთავარი ინტერესი სტარტაპები და მაღალტექნოლოგიური ბიზნესია. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უშუალოდ ამ სექტორზე ფოკუსირებული ინსტიტუტების შექმნა, როგორც რეგიონულ ასევე ცენტრალურ დონეზე. მათი საქმიანობა კი გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მაგალითები კი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში გვხვდება, მაგალითად იაპონიაში, სადაც ფუნქციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის სააგენტო (Small and Medium Enterprise Agency – SMEA). ორგანიზაცია პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესის

განვითარების სფეროში მთავრობის სტრატეგიის რეალიზაციაზე. ამასთან, იაპონიის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრი. სექტორის განვითარებისთვის ასევე გადამწყვეტია მათი თანამშრომლობა, რაც ზოგიერთ ქვეყნებში გამყარებულია შესაბამისი კანონმდებლობით და სტიმულირებული, მაგალითად, „მცირე და საშუალო ბიზნესის თანამშრომლობის ორგანიზაციის კანონი.“

ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კვლავ გამოწვევად რჩება, რაშიც იგულისხმება სესხების უზრუნველყოფის მკაცრი პირობები (გარანტია, დიდი გირაო) და საპროცენტო განაკვეთები, რასაც ემატება არასაბანკო დაფინანსების სისტემის განუვითარებლობა (OECD, European Union, 2016).

მცირე ბიზნესის სესხზე ბანკის საპროცენტო განაკვეთი საქართველოში ძალიან მაღალია. 2023 წელს მცირე ბიზნესის სესხის საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში 13.6%-ს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 9%.

გრაფიკი 2.1.2 მცირე და მსხვილ საწარმოების სესხებზე საპროცენტო განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესი საწყის ეტაპზე ძირითადად არასაბანკო რესურსებით ფინანსდება, კერძოდ ანგელოზური და ვენჩერული დაფინანსებით. საგულისხმოა, რომ საქართველოში ეს ინსტიტუტები ვერ ვითარდება, რაც გამოწვეულია კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობით. ვინაიდან, მცირე ბიზნესად განიხილება ინდივიდუალური საწარმოები, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო მათთვის ტექნიკურად შეუძლებელია ვენჩერული დაფინანსების მიღება, ვინაიდან, აღნიშნული სამართლებრივი ფორმა არ ითვალისწინებს წილის დათმობას.

მწარმოებლურობა და ინოვაციების ნაკლებობა არის ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ დაბალია მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (Шабуришвили, 2011). რეგიონის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საკმაოდ დაბალია მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტივობა. საგულისხმოა, რომ არასაკმარისია ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის და სტარტაპების განვითარებას. ამასთან, დაბალია იდეების პროდუქტად გარდაქმნის და ინოვაციების კომერციალიზაციის მაჩვენებელი (OECD, European Union, 2016). საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური აქტივობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმები, მაგალითად:

- დამწყები მცირე ინოვაციური საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების ამოქმედება;
- კანონმდებლობის სრულყოფა, რაც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვსთან;
- ბიზნესინკუბატორების და ტექნოპარკების ქსელის განვითარება;
- სამეცნიერო, კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის ფორმების დანერგვა;
- ინოვაციური კლასტერების განვითარება;

- ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება/განხორციელება, რაც დაეხმარება მცირე და საშუალო ინოვაციურ ბიზნესს (Шабуришвили, 2011).

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის დონე საქართველოში დაბალია. განვითარებულ ქვეყნებში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მეოთხედი შემოსავლების 10%-40%-ს საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან იღებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ექსპორტირებული პროდუქცია მთლიანი ექსპორტის 25%-35%-ს შეადგენს, ხოლო დინამიკის ტემპი მუდმივად იზრდება და დაახლოებით 2-ჯერ აღემატება მსხვილ კომპანიებისას, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ ბიზნესში შრომის მწარმოებლურობა უფრო მაღალია. საგარეო ბაზარზე გასვლის უპირატესობას საქართველოში მრავალი მცირე და საშუალო საწარმო აცნობიერებს, თუმცა ამას სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებენ (შაბურიშვილი, 2010). ბიზნესის საზღვრებს გარეთ გაფართოებას სხვადასხვა ფაქტორები უშლის ხელს, მათ შორის:

- საზღვარგარეთ პარტნიორების არყოლა;
- შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- მენეჯერების დეფიციტი;
- ტექნოლოგიური ცოდნის არქონა;
- უცხოური ბაზრის ათვისებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები;
- ქართული მსხვილი კომპანიების სიმწირე, რომლებიც ჩართული არიან დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვში;
- სავაჭრო შუამავლების სიმცირე, რომლებიც ორიენტირებული არიან საგარეო ბაზარზე;
- მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლობის ფორმების (ასოციაციები, სავაჭრო პალატები) განუვითარებლობა;

მცირე და საშუალო ბიზნესის დაბრკოლებას წარმოადგენს სამეწარმეო უნარების ნაკლებობა. სამწუხაროდ დაბალია ბიზნესის დაგეგმვის/ განვითარების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ასევე სხვადასხვა უნარებისა და ცოდნის დონე, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული საქმიანობისათვის (OECD, European Union, 2016). დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე ასაკოვანი, პენსიაზე გასული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (ფინანსისტები, მეცნიერები, ინჟინერები, მენეჯერები და ა.შ.) რესურსების გამოყენება. მრავალ ქვეყანაში არსებობს საკონსულტაციო პუნქტები (Service Corps of Retired Executives), სადაც დასაქმებულები არიან პენსიონერი სპეციალისტები. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი 389 პუნქტია, რომელიც ყოველწლიურად 400 ათას კლიენტს ემსახურება.

2.2 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები და ეროვნული პროგრამები

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის (SMEs) მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა ინსტიტუციური და პროგრამული მექანიზმის საშუალებით. აღნიშნული პროგრამები ძირითადად მიზნად ისახავს ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, ინოვაციების სტიმულირებას, ექსპორტის ხელშეწყობასა და მეწარმეობის პოპულარიზაციას. თუმცა მათი ეფექტიანობის შეფასება საჭიროებს კომპლექსურ ანალიზს.

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა საერთაშორისო პრაქტიკითა და გამოცდილებით დასაბუთებულია. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, მხარდაჭერის ღონისძიებები კომპლექსური ხასიათისაა და მიმართულია სრულად ეკონომიკის განვითარებისკენ. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა გამორიცხავდეს სხვა ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის

დისკრიმინაციას და კონკურენციის შეზღუდვას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი დაუშვებელია ბუნებრივი საბაზრო მდგომარეობის ხელოვნური ცვლილებები.

სახელმწიფო მხარდაჭერა შესაძლებელია იყოს მატერიალური ან არამატერიალური. მატერიალური მხარდაჭერაა, მაგალითად, სესხები, შეღავათიანი კრედიტები, გრანტები და სუბსიდიები, ხოლო არამატერიალური მხარდაჭერაა, ორგანიზაციული დახმარება და კონსულტაციის გაწევა (ადვაძე, 2015).

2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახდენს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებლი ეკოსისტემის ფორმირებას საქართველოში (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2024). სააგენტოს მისიაა:

- ინოვაციის და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ეკონომიკის თითოეულ დარგში ტექნოლოგიების და ინოვაციების გამოყენების სტიმულირება;
- მაღალტექნოლოგიური პროდუქტებისა და ინოვაციების ზრდისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

სააგენტო დაკისრებული მისიის ეფექტიანად შესასრულებლად განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორისაა, ინვესტირება ინოვაციებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. აღნიშნული გამოიხატება ინოვაციური ცენტრების, სამრეწველო ლაბორატორიებისა და ტექნოპარკების გახსნაში. ასევე, სააგენტო ზრუნავს განახორციელოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომერციალიზაციის მხარდამჭერი ინსტრუმენტების ფორმირება, ინტერნეტიზაციის მაღალი დონის მიღწევა საქართველოს მასშტაბით, კონკურენტული გარემოს და შრომითი ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელი ტრენინგების ჩატარება,

ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების სტიმულირებისთვის საჭირო საკანონმდებლო იდეების ინიცირება.

სააგენტო მიერ ხორციელდება რამდენიმე პროგრამა, მათ შორის, „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა“, „150000 თანადაფინანსების გრანტების პროგრამა“, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“, ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), პროგრამა „ბიზნეს ინკუბატორი“, პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“.

„ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის მიზანი არის იმგვარი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, რომლებიც ბაზრის საჭიროებებს პასუხობს. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ პროექტებზე ინდივიდუალურად დგება კომერციალიზაციის გეგმა, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი ინოვაციის/ტექნოლოგიის დახვეწა და განვითარება. პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს. საგულისხმოა, რომ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ შესაბამისი ტექნოლოგიური მზაობის (TRL4) მქონე პროექტებს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

„150000 თანადაფინანსების გრანტების პროგრამაში“ თანადაფინანსება მიიღო 135-მა სტარტაპმა. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში შემუშავდეს ინოვაციური მომსახურება და საქონელი, რომელსაც ექნება საერთაშორისო პოტენციალი, ასევე პროგრამის მიზანია აღნიშნული პროდუქტების კომერციალიზაცია და ინოვაციურ საწარმოთა შექმნის სტიმულირება.

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ მიზანია ინოვაციური საწარმოების გახსნის სტიმულირება და ქვეყნის ეკონომიკაში ჩართვა, ასევე სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემების განვითარება რეგიონებში (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024). პროგრამა თავის მხრივ მოიცავს საგრანტო პროგრამის ორ კატეგორიას: 1. 30000 ლარის ოდენობით მცირე გრანტს, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციების დანერგვას, ტესტირებას, ან გაუმჯობესებას კომერციალიზაციისათვის (საქართველოს ინოვაციებისა

და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024); 2. 100000 ლარის ოდენობით ინოვაციური მეწარმეობის გრანტს, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური და/ან ინოვაციური ელემენტების შემცველი, ასევე კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების დაფინანსებას (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP) ხელს უწყობს ბაზრის საჭიროებებს მორგებულ სამეცნიერო პროექტებს კომერციალიზაციაში. კომერციალიზაციისა და მეცნიერების გუნდების კომპეტენციის განვითარება ხდება ტრენინგების საშუალებით. შერჩეულ პროექტებს აქვთ წვდომა ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებზე, მანამ სანამ წარდგებიან პოტენციურ კლიენტებთან/მომხმარებლებთან საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთ (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

„ბიზნეს ინკუბატორი“ წარმოადგენს პროგრამას დამწყები ბიზნესების ხელშეწყობისათვის. პროგრამა ინოვაციური იდეების მქონე მეწარმეებს ეხმარება შეღავათიან პირობებში მოახდინონ ბიზნეს იდეების ჩამოყალიბება და განვითარება. იგი 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობს და მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პროგრამის ბოლოს მონაწილეებს აქვთ ბიზნეს გეგმა, მოდელი და ფინანსური პროგნოზები, რაც საჭიროა ინვესტორთა მოსაძიებლად (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ მიზნად ისახავს ინოვაციური ბიზნესების განვითრების და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის ხელშეწყობას. იგი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან - მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური. მაღალტექნოლოგიური კომპონენტს მიეკუთვნება ბიოინფორმატიკა, ბიოტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, რობოტიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ნახევარგამტარები, ბირთვული ფიზიკა, ხელოვნური ინტელექტი, ავტომობილები, ავიაკოსმოსური წარმოება, კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული ინჟინერია. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში 100000 ლარით დაფინანსებულია 20 სტარტაპი (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“ ახდენს კომპანიების მოძიებას, რომლებსაც შეუძლიათ სტარტაპებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურები გაწევა. კომპანია სტარტაპ მეგობრული ხდება თუკი დააფინანსებს სტარტაპებს, აქვს სტარტაპებისთვის სპეციალური შეთავაზება, ან სტარტაპებთან დანამშრომლობს საერთო მომსახურების/პროექტების შექმნისათვის. დღესდღეობით საქართველოში 200-ზე მეტი სტარტაპია. პროგრამაში მონაწილეობით სტარტაპებისთვის უპირატესობებია:

- უფასო კონსულტაციების იურიდიული, ფინანსური და მენეჯერული მიმართულებით;
- წვდომა შეღავათიან სერვისებზე/პროდუქტებზე;
- სატრენინგო და საკონფერენციო ოთახებით სარგებლობაზე შეღავათები;
- წვდომა სააგენტოს რესურსით მედია გაშუქებაზე;
- წვდომა ინვესტორებზე.

სტარტაპ მეგობრული კომპანიებისთვის უპირატესობებია:

- ფასდაკლება ტექნოპარკის მომსახურებებსა და სერვისებზე;
- „სტარტაპ მეგობრული“ სტატუსის დადებითი გავლენა კომპანიის იმიჯზე;
- მუდმივი კომუნიკაცია მათ ინდუსტრიაში არსებულ სტარტაპებთან;
- სტარტაპებთან ერთად პროექტების განხორციელების შესაძლებლობა (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა 56000-ს აღემატება, ხოლო დაფინანსებულია 641 სტარტაპზე მეტი (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2024).

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია დაარსდა 2010 წელს და წარმოადგენს არაკომერციულ, არაპოლიტიკურ ორგანიზაციას. ასოციაციის მთავარი მისიაა მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესთა დაცვა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა. ამასთან, ასოციაცია უზრუნველყოფს ბიზნესის კომუნიკაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან (საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, 2022).

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2000 წელს დაარსდა და არის არასამთავრობო, დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი და არამომგებიანი ბიზნეს გაერთიანება. იგი მუშაობს დამსაქმებელთა/მეწარმეთა ინტერესების დასაცავად, აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით. ასოციაციის მიზანია ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრა. იგი საქართველოს მთავრობის და პროფესიული კავშირების სოციალური და ეკონომიკური პარტნიორია. ასოციაცია 2000-ზე მეტ დიდ, საშუალო და მცირე ზომის კომპანიას აერთიანებს სხვადასხვა ინდუსტრიებიდან (საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, 2024). ასოციაციის სერვისია უფასო კონსულტაციები, რაც დაკავშირებულია:

- საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებთან;
- ნარჩენების მართვასა და გარემოს დაცვასთან;
- საგადასახადო და საბაჟო საკითხებთან;
- შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან;
- შრომით ურთიერთობებსა და შრომით კოდექსთან (საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, 2024).

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა დაარსდა 1960 წელს და წარმოადგენს ყველაზე მსხვილი ბიზნეს გაერთიანებას საქართველოში. მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა ბიზნესის მხარდაჭერით. ვინაიდან, პალატას აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო კავშირები, იგი ქართველ მეწარმეებს სთავაზობს საერთაშორისო ბიზნეს პარტნიორების მოძიების ეფექტიან მექანიზმებს. პალატის წევრები მუდმივად ეცნობიან უახლეს ინფორმაციებს, რაც დაკავშირებულია მათი ბიზნესის განვითარებასთან (საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, 2024). ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- მეწარმეებისთვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ საექსპორტო კონკურსებში/გამოფენებში მონაწილეობის თანადაფინანსება;
- კონსულტაციის გაწევა, საერთაშორისო და სამთავრობო საგრანტო პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით;

- კონსულტაციის გაწევა კომპანიებისთვის, რომლებიც შეიმუშავებენ მოკლევადიან გადამზადება/მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს და სურთ ავტორიზაციისა და დაფინანსების მოპოვება;
- იურიდიულ და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა (საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, 2024).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი **„აწარმოე საქართველოში“** შეიქმნა 2014 წელს, რომელიც კერძო სექტორის წარმოების განვითარების და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017). ორგანიზაციის ფუნქცია არის საქართველოში მეწარმე სუბიექტების და მეწარმეობის მხარდაჭერა და განვითარება, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა, არსებული საწარმოების გადაიარაღება/გაფართოების და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ასევე ექსპორტის ხელშეწყობა და საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაცია (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2019).

მცირე და საშუალო ბიზნესის წამოსაწყებად და განსავითარებლად, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დამწყები და მოქმედი მეწარმეებისთვის უზრუნველყოფს სერვისებისა და მხარდამჭერი ინსტრუმენტების შემუშავებას, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესასოციაციებთან, დონორებთან, საგანმანათლებლო და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, კერძო სექტორთან, აკადემიურ წრეებთან, მთავრობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობისა და კომუნიკაციის ხელშეწყობას. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის წარმოსაჩენად გეგმავს და ახორციელებს მარკეტინგულ აქტივობებსაც.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ აერთიანებს კომპონენტებს: ინვესტიციებს, ექსპორტს და ბიზნესს

(ადგილობრივი წარმოება) (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო, 2024).

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულება მიზნად ისახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში, მათ ხელშეწყობასა და რეინვესტირების წახალისებას. ეს მიმართულება ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია საქართველოს მთავრობასა და უცხოელ ინვესტორებს შორის, ფუნქციონირებს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და დაინტერესებულ ინვესტორებს უწევს დახმარებას ქართულ მხარესთან კომუნიკაციასა და სხვადასხვა ინფორმაციის მიღებაში.

„აწარმოე საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესს გაზარდოს საექსპორტო პოტენციალი. პროგრამის ფარგლებში ექსპორტიორი კომპანიების ტექნიკური დახმარება ხორციელდება, რაც გულისხმობს ხელის შეწყობას სერვისების, პროდუქტების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაში, საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირებას, საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტებისა და სექტორების იდენტიფიცირებას (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

ექსპორტის პროგრამის კომპონენტებია:

- პროდუქტის სერტიფიცირება/ლიცენზირება;
- ბრენდინგი;
- საერთაშორისო ქსელში შესვლა.

„აწარმოე საქართველოში - ექსპორტი“ ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა სერვისების მიღება, მათ შორის:

- ექსპორტის მენეჯერების გადამზადება;
- საბაჟო ტარიფებზე ინფორმაციის გაცემა უცხოურ ბაზრებზე;
- ექსპორტის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გაცემა;
- ქართველ მწარმოებლებთან უცხოელი მყიდველების დაკავშირება;
- სავაჭრო შეხვედრების ორგანიზება;
- საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით მცირდება, 2015 წელს 60%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 33% იყო. 2016 და 2020 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის მოცულობა შესაბამის წინა წელთან შედარებით შემცირდა. საქართველოს მთავრობის სტრატეგიის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტი მოცულობ 2025 წლისთვის 2,001 მილიონი აშშ დოლარი იყო.

დიაგრამა 2.2.1 მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტი 2015-2022 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კომპონენტი - „პროდუქტის სერტიფიცირება/ლიცენზირება“ მოიცავს ხარისხის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის აღებას, წარმოებული პროდუქტის ლიცენზირებას და ორგანიზაციაში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. კომპონენტრი - „ბრენდინგი“ აფინანსებს ბრენდის განვითრების სტრატეგიასა და ჩამოყალიბებას, პროდუქტის შეფუთვასა და რებრენდინგს. ორივე ზემოაღნიშნული კომპონენტის დაფინანსება შეადგენს 20000 ლარს. კომპონენტი - „საერთაშორისო ქსელში

შესვლა“ აფინანსებს საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლას, სამიზნე ბაზრებზე: ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, იაპონია, კანადა, სპარსეთის ყურის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

„აწარმოე საქართველოში – ბიზნესის“ მიმართულება იყენებს სხვადასხვა მექანიზმს მეწარმეობის განვითარებისთვის, რაც მოიცავს:

- მიკრომეწარმეობის მხარდაჭერა;
- ბიზნეს უნივერსალი;
- კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერა;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემა;
- სუბსიდირებული იპოთეკური სესხი;
- გადაიღე საქართველოში (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2025).

„აწარმოე საქართველოში“ ახორციელებდა მიკრო და მცირე მეწარმეობის სახელმწიფო პროგრამას, რომლის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იყო:

1. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც პროგრამის ფარგლებში არ იყო დაფინანსებული, ან მონაწილეობდა პირველად;

2. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ერთხელ უკვე მიღებული ქონდა დაფინანსება.

დაფინანსების მიღება შესაძლებელი იყო 300-ზე მეტ ეკონომიკური საქმიანობაში, როგორც უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოებისთვის, ასევე ახალი ბიზნესის დასაწყებად (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

პროგრამაში გამარჯვებულ ბენეფიციარს ბიზნესის დასაფინანსებლად უწევდა ფულადი თანამონაწილეობა, რაც შეადგენდა მიღებული დაფინანსების არანაკლებ 20%-ს, ხოლო მაღალმთიანი რეგიონებში 10%-ს. გრანტის მაქსიმალური მოცულობა 30000 ლარს შეადგენდა. მიღებული დაფინანსების სულ მცირე 90% კაპიტალური დანახარჯებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო მაქსიმუმ 10% საბრუნავი საშუალებებისთვის (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

საგულისხმოა, რომ ბენეფიციარებისთვის გრანტის თანამონაწილეობის თანხა წარმოადგენდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ბარიერს.

სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში 2015-2022 წლებში სულ დაფინანსდა 8209 პროექტი.

ცხრილი 2.2.1 2015-2022 წლებში განხორციელებული მიკრო გრანტებით დაფინანსების მაჩვენებლების შეჯამება

წელი	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	დასაქმება
2015	608	859	1,374
2016	2,596	4,055	6,488
2017	2,109	3,498	5,597
2018	899	972	1,555
2020	689	689	2,432
2022	1,308	1,308	3,739
სულ	8,209	11,381	21,185

წყარო: (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2023)

ყველაზე მეტი - 2596 პროექტი დაფინანსდა 2016 წელს. ამავე წელს ბენეფიციარების რაოდენობამ 4055 შეადგინა. საგულისხმოა, რომ 2015-2022 წლებში პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 21185 ადამიანი. სულ გაცემული თანხის რაოდენობამ კი შეადგინა 91,254,994 მლნ ლარი (Enterprise Georgia, 2023).

2022 წელს დაფინანსებული პროექტების უმრავლესობა წარმოდგენილია სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთსა და თბილისში. სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფინანსებულია 188 პროექტი, იმერეთში - 148, ხოლო თბილისში - 137. 2022 წელს ყველაზე ცოტა პროექტი დაფინანსდა გურიის რეგიონში. ამავე წელს გაცემული მიკრო გრანტების მოცულობამ 29,986,490 ლარი შეადგინა, ხოლო ბენეფიციარების თანადაფინანსების თანხამ - 8,029,350 ლარი.

ცხრილი 2.2.2 მიკრო გრანტებით დაფინანსება რეგიონების მიხედვით 2022 წელს

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)	თანამონაწილეობის თანხა (ლარი)
აჭარა	128	2,975,653	801,884
გურია	60	1,687,838	487,888
თბილისი	137	3,101,454	755,360
იმერეთი	148	3,711,300	1,039,742
კახეთი	129	3,438,711	921,391
მცხეთა-მთიანეთი	85	1,837,671	454,066
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	112	3,126,379	878,747
სამეგრელო-ზემო სვანეთი	188	3,513,211	1,023,851
სამცხე-ჯავახეთი	125	2,593,954	595,005
ქვემო ქართლი	71	1,687,300	402,101

შიდა ქართლი	125	2,313,020	669,315
სულ	1,308	29,986,490	8,029,350

წყარო: (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2023)

რაც შეეხება სექტორების ჭრილში მიკრო გრანტების შეჯამებას წარმოდგენილია ცხრილი 2.2.2-ში:

ცხრილი 2.2.3 მიკრო გრანტებით დაფინანსების მიმართულების შეჯამება სექტორულ ჭრილში 2015-2022 წლებში

სექტორი	პროექტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)	ინვესტიცია (ლარი)	დასაქმება
დამამუშავებელი მრეწველობა	3,129	37,258,376	47,287,058	8,195
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1,861	22,472,681	29,072,849	5,169
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1,225	9,592,363	12,524,844	3,189
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	766	7,362,053	9,377,332	1,585
სხვა სახის მომსახურება	391	4,513,837	5,687,264	908

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	181	2,660,778	3,335,724	416
ხელოვნება, გართობა და დასვენება	125	1,726,838	2,209,459	384
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	121	1,453,240	1,808,236	331
განათლება	98	1,135,414	1,396,902	268
მშენებლობა	93	925,648	1,172,284	227
ტრანსპორტი და დასაწყობება	90	845,930	1,148,029	237
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	90	705,784	927,496	178
ინფორმაცია და კომუნიკაცია	33	525,307	646,026	79
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4	31,744	40,199	11
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1	10,000	16,840	5

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1	35,000	55,000	4
სულ	8,209	91,254,994	116,705,543	21,185

წყარო: (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2023)

პროექტების უმრავლესობა - 3129 პროექტი წარმოდგენილია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში, რასაც მოსდევს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვები მიწოდების საქმიანობები - 1861 პროექტი. განათლების სექტორში დაფინანსებულია მხოლოდ 98 პროექტი, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების საქმიანობებიდან - 90 პროექტი. დასაქმებულთა უმეტესობაც - 8195 ადამიანი სწორედ დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია.

ბიზნეს უნივერსალის მიმართულების მიზანი საქართველოში მეწარმეობის განვითარებაა, ასევე არსებული საწარმოების გადაიარაღებით ან გაფართოებით მეწარმეების მხარდაჭერაა. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგრამის ფარგლებში მეწარმეს შეუძლია აქვს რეგიონებში დაიწყოს სასტუმრო ბიზნესი, შესაბამისად იქნება ახალი სამუშაო ადგილები, ხდება მეტი დამსვენებლის მოზიდვა, რის საფუძველზეც რეგიონები ეკონომიკურად ვითარდება. კომპონენტი მეწარმეებს სთავაზობს, როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას. ამ მიმართულების ფარგლებში ასევე საქართველოში წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა ხდება, საერთაშორისო ბრენდების დამკვიდრების სტიმულირების გზით. 2016-2021 წლებში დაფინანსდა 272 პროექტი, სესხის მთლიანმა მოცულობამ 337 მილიონს გადააჭარბა, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ 5294 შეადგინა (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

საწარმოს ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში, რომელიც საწარმოთა გადაიარაღების ან გაფართოების ხელშეწყობას გულისხმობს მონაწილეობდა 2014-2021 წლებში 895 პროექტი მონაწილეობდა. პროექტის ფარგლებში დასაქმდა 22802 ადამიანი (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

2022 წელს ინდუსტრიული მიმართულების პროგრამაში 88 ბენეფიციარი მონაწილეობდა, სესხის მოცულობამ 55,344,900 ლარი შეადგინა, პროექტის ჯამური ინვესტიცია 89,889,558 ლარია, ხოლო შეიქმნა 985 ახალი სამუშაო ადგილი (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ 2016 წლიდან ახორციელებს. პროგრამა საერთაშორისო და ადგილობრივი პროდიუსერებისთვის შესაძლებლობას იძლევა საქართველოში გადაიღონ ფილმი, ან სხვა სახის ვიზუალური/აუდიო პროდუქცია და უკან დაიბრუნონ კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე. 2016-2022 წლებში სულ გაფორმდა 30 ხელშეკრულება, მათგან 23 ანაზღაურებულია, ხოლო 7 მიმდინარე (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024). თანხის უკან დაბრუნება შესაძლებელია პროგრამებით განსაზღვრული კვალიფიციური ხარჯების შემთხვევაში, რომელიც არ აღმატება 500,000 ლარს სერიალისა და მხატვრული ფილმის შემთხვევაში, ხოლო რეალითი შოუს, რეკლამის, ანიმაციისა და დოკუმენტური ფილმის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 300,000 ლარს (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი საკრედიტო გარანტიებს გასცემს სიცოცხლისუნარიან მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებსაც შესაძლებლობა არ აქვთ სესხის უზრუნველყოფაზე დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილონ. საკრედიტო გარანტიის გაცემა შესაძლებელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის/ბანკის მიერ გაცემულ სესხზე, სესხის ძირი თანხის 80%-მდე. გარანტიის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ბანკის შემთხვევაში სესხის მოცულობა 50,000-5,000,000 ლარის ფარგლებში უნდა იყოს, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში 20,000-5,000,000 ლარის ფარგლებში. პროექტი საქართველოს ყველა რეგიონში ხორციელდება. 2020-2022 წლებში ახალი პროექტების ჯამურმა რაოდენობამ 456 შეადგინა. სულ

გაცემულია 499 სესხი და შექმნილი 8038 სამუშაო ადგილი (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

პროგრამა სუბსიდირებული იპოთეკური სესხი 5 წლის განმავლობაში იპოთეკურ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას გულისხმობს. სესხის მიზანია სახლის/ბინის შეძენა და სახლის აშენება. სესხის ლიმიტი 200,000 ლარს შეადგენს (სსიპ აწარმოე საქართველოში, 2024).

მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო, მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობების გათვალისწინებით, პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ 2020 წელს შევიდა ცვლილებები. პანდემიამ განსაკუთრებით დააზარალა სასტუმრო და ზოგადად ტურისტული ინდუსტრია. შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული დარგის „დახმარება“. თუკი ვირუსის გავრცელებამდე სასტუმროს ინდუსტრიაში სესხის აღების აუცილებელი პირობა იყო მიწის ნაკვეთის მეწარმე სუბიექტის საკუთრებაში არსებობა, განხორციელებული ცვლილების შემდეგ პროგრამით დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს აქვს შესაძლებლობა სასტუმრო ააშენოს მის დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზეც. იგივე პირობა ვრცელდება ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიაზეც.

პანდემიის გათვალისწინებით, მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის ბიუჯეტი 10-დან 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ასევე, პრიორიტეტი მიენიჭა შშმ პირებს, ქალ მეწარმეებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს.

გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ პრიორიტეტულ მიმართულებებს 6 ახალი ეკონომიკური საქმიანობა დაემატა, მათ შორის, საავადმყოფოების საქმიანობები, კომპიუტერული თამაშების გამოცემა, სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, კინოფილმების საწარმოებელი მოწყობილობების შეძენა იჯარით/ლიზინგით გაცემის მიზნით, სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა უწყების მიერ, მათ შორის აწარმოე საქართველოში და საქართველოს ინოვაციების და

ტექნოლოგიების სააგენტო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტიტუტები აქტიურად ახორციელებენ პროგრამებს, კოორდინაციის გაძლიერება და ერთიანი სტრატეგიული ჩარჩოს ფორმირება კვლავ აქტუალურ გამოწვევად რჩება. მხარდამჭერი პროგრამების ერთ-ერთი მიზანია დასაქმების ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა პროგრამებმა ხელი შეუწყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმებაზე ზემოქმედება ხშირად მოკლევადიანია. განსაკუთრებით მიკროგრანტების პროგრამების შემთხვევაში, დასაქმების ეფექტი სისტემურ და მასშტაბურ გავლენად არ ტრანსფორმირდება. ამრიგად, პროგრამების ეფექტიანობის ზრდა დამოკიდებულია არა მხოლოდ დაფინანსების მოცულობაზე, არამედ ინსტიტუციური კოორდინაციის ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე.

საქართველოში მოქმედებს თანადაფინანსებისა და მიკროგრანტების პროგრამები, თუმცა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავაც შეზღუდულია, განსაკუთრებით რეგიონებში მოქმედი მცირე საწარმოებისთვის. ამასთან, დაფინანსების მოცულობა და ხანგრძლივობა ხშირად არ შეესაბამება ბიზნესის განვითარების ციკლს. ამასთან, ინოვაციური პროექტების დაფინანსება ეტაპობრივად ვითარდება, თუმცა სტარტაპ ეკოსისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და საჭიროებს დამატებით კერძო ინვესტიციებსა და ვენჩურული კაპიტალის განვითარებას.

განვითარებული ქვეყნების მოდელი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ერთიანი ინსტიტუციური კოორდინაცია;
- მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები;
- ინოვაციაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- სახელმწიფო შესყიდვების მიზნობრივი გამოყენება;
- მუდმივი მონიტორინგი და შეფასება.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა მნიშვნელოვან პროგრესს ავლენს, თუმცა ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია ინსტიტუციური ინტეგრაციის გაძლიერება, ფინანსური ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია, ექსპორტისა და ინოვაციის სტიმულირების გაღრმავება და შეფასების მექანიზმების სისტემატიზაცია.

ამრიგად, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მოდელური ჩარჩო საქართველოს პოლიტიკის ოპტიმიზაციისთვის, ეროვნული ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაში

მრავალ ქვეყანაში მთავრობა წარმოადგენს მომსახურებისა და საქონლის ყველაზე მსხვილ შემსყიდველს. მთავრობები ხშირად იყენებენ სახელმწიფო შესყიდვებს ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად და წასახალისებლად (Bell & Tayler, 2016). კრიზისების დროს მნიშვნელოვან როლს მთავრობები ასრულებენ (Silagadze, 2022). სახელმწიფო შესყიდვები გულისხმობს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვას საჯარო უწყებების მიერ, თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად (Kundu, James, & Rigby, 2022). შესყიდვების პროცესი მოიცავს ციკლს, რომელიც იწყება საჭიროებების იდენტიფიცირებიდან და სრულდება საჭიროების შესყიდვით (Chartered Institute of Procurement & Supply, 2023). სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს წესების, პრინციპების და პროცედურების ერთობლიობას, რათა განხორციელდეს ეფექტიანი, მიზნობრივი შესყიდვები (Arciniegas, 2023). სახელმწიფო შესყიდვები გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ვაჭრობაზე, რადგან სახელმწიფო ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10-15%-ს (Ballard, 2012).

OECD-ის წევრ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 13%-ს, ხოლო სახელმწიფო ხარჯების მესამედია (Bosio, Djankov, Glaeser, & Shleifer, 2020). ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის შესყიდვების პოლიტიკა ხელს უწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესს (Kidalov, 2013). მიუხედავად ამისა, ეს სექტორი ხასიათდება დაბალი დიგიტალიზაციითა და არაეფექტიანი კონკურენციით (Yape & Stiti, 2019). განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა დიდი ინვესტიცია უნდა განახორციელონ ელექტრონული შესყიდვების ინფრასტრუქტურაში, რათა ყველა სექტორმა უზრუნველყოს მისი გამოყენება (Ahudey, 2020). სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობა

წარმოადგენს სექტორის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად (Musanzikwa M. , 2013). საქართველოს ეკონომიკამ სასურველ მასშტაბს ჯერჯერობით ვერ მიაღწია, მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის დონე კვლავ დაბალია (Silagadze, 2018). 2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ შეადგენდა 10,493,526,646 ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 13.1%-ია (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025). ხოლო 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულება 7,398,621,294 ლარი შეადგენდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 10.3% იყო (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025). 2024 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 8.1 მილიარდი ლარი იყო.

დიაგრამა 2.3.1 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში 2011-2024 წლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები (მლრდ. ლარი)



წყარო: (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

2021 წელთან შედარებით 2022 წელს კონსოლიდირებული და ელექტრონული ტენდერების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება გაიზარდა დაახლოებით 1.4 მილიარდი ლარით და შეადგინა 6,099,248,304 ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი სახელმწიფო შესყიდვების მთლიანი მოცულობის 82.4%-ს შეადგენს. ხოლო გამარტივებული შესყიდვების წილმა 1,299,372,990 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მოცულობის 17.6%-ია (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025).

დიაგრამა 2.3.2 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში 2024 წელს დადებული ხელშეკრულებების ღირებულება შესყიდვის საფუძვლის მიხედვით



წყარო: (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

სოციალური პოლიტიკის მისაღწევად ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის ძლიერი ინსტრუმენტია მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები (Kharaishvili & Atanelishvili, 2022). ამასთან, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს სახელმწიფო შესყიდვებს ანიჭებს (ხუნდაძე, 2017). კონკურენციის გაზრდით შესაძლებელია უმაღლესი ხარისხის მიღება დაბალ ფასად, ამასთან რესურსების ეფექტიანი გამოყენება (Afolabi, Ibem, Aduwo, & Tunji-Olayeni, 2020).

სახელმწიფო შესყიდვები არის რთული, მრავალდონიანი და ურთიერთდამოკიდებული სისტემა (Mulic & Ulian, 2021), ამიტომ, ჯანსაღი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და პრაქტიკა აუცილებელია არა მხოლოდ ფულადი სახსრების ეკონომიისთვის, არამედ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად (Chiappinelli, 2015). საგულისხმოა, რომ ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებელთა რეგისტრაციის რაოდენობა.

დიაგრამა 2.3.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eProcurement) მიმწოდებელთა რეგისტრაციის რაოდენობა 2014-2024 წლებში



წყარო: (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

2010-2021 წლებში სისტემაში დარეგისტრირდა 49,174 მიმწოდებელი. 2021 წელს ქართულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4,175,185,459 ლარი (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025). 2022 წელს სისტემაში დარეგისტრირდა 3,550 მიმწოდებელი და რეგისტრირებულ მიმწოდებელთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 52,724, ხოლო 2023 წელს სისტემაში 56,232 რეგისტრირებული მიმწოდებელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სტატისტიკა რეგისტრირებულ მიმწოდებელთა შორის რამდენია მოქმედი. ამასთან, არ არსებობს სტატისტიკა მიმწოდებელთა შორის რამდენია მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე და

საშუალო ბიზნესისთვის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ხელსაყრელი გარემოს შექმნა ძალიან წაადგება აღნიშნული სექტორის განვითარებას, იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას (Nicholas & Fruhmann, 2014). მცირე და საშუალო ბიზნესი ნებისმიერი ჯანსაღი ეკონომიკის ხერხემალია (Crown Commercial Service, 2023).

მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება რიგ სირთულეებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზებთან, მათ შორის, შესყიდვის ობიექტის დიდ მოცულობასთან, არასაკმარის გამოცდილებასთან, კვალიფიკაციის არქონასთან, კანონმდებლობის არცოდნასთან. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ტექნიკურ და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან/და ვერ ასწრებს დოკუმენტაციისა და რესურსების მობილიზებას შემჭიდროვებულ ვადებში (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2017). არსებობს მრავალი დაბრკოლება, რაც ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესის ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობას (Suliantoro, Winarno, & Handayani, 2020). ზოგიერთი ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებაა თანხის მოგვიანებით გადარიცხვა, მას შემდეგ რაც შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდებენ საქონელს, გაუწევენ მომსახურებას, ან შეასრულებენ სამუშაოებს.

შემსყიდველ ორგანიზაციებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ კონკურენტული, სამართლიანი, არადისკრიმინაციული მიდგომებით. ეს მიდგომები იძლევა შესაძლებლობას ორგანიზაციას მოუტანოს ფინანსური და ხარისხობრივი სარგებელი. ასევე, სახელმწიფო შესყიდვებმა ქვეყანას უნდა მოუტანოს სოციალური სარგებელიც (Silva & Scott, 2015). იმისათვის, რომ ბიზნესისთვის ხელსაყრელი იყოს ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნა მითითებები, რაც არ შეზღუდავს კერძო პირთა ინტერესებს. ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესს არ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დიდი მოცულობის სახელმწიფო შესყიდვებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია

უფლებამოსილია შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტის შესყიდვა ეტაპობრივად განახორციელოს (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2005). კანონი შესაძლებლობას იძლება მსხვილი შესყიდვები დაიყოს ე.წ. ლოტებად, რაც გულისხმობს დიდი ტენდერის რამდენიმე მცირე ტენდერად (ლოტად) დაყოფას „გეოგრაფიული“, „რაოდენობრივი“ და/ან „ხარისხობრივი“ ფაქტორების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნესს არ აქვს საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მიაწოდოს საქონელი ან გაუწიოს მომსახურება. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, შესყიდვის ობიექტის დაყოფა „გეოგრაფიულ“ ლოტებად, რაც ნიშნავს შესყიდვის ობიექტის დაყოფას მიწოდების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. „რაოდენობრივ“ ლოტებად დაყოფა გულისხმობს ერთი ტენდერის ნაცვლად რამდენიმე ტენდერის გამოცხადებას, ეტაპობრივად, როდესაც შესყიდვის ობიექტი იდენტურია. ხოლო, „ხარისხობრივი“ ლოტით დაყოფა გულისხმობს შესყიდვის ობიექტის დაყოფას მიმწოდებლის საქმიანობის/სპეციალიზების სფეროს მიხედვით.

მცირე და საშუალო ბიზნესს შეზღუდული აქვს ადმინისტრაციული რესურსი, რის გამოც სატენდერო წინადადების მოსამზადებლად, განსაკუთრებით არასტანდარტული შესყიდვებისას, დრო არასაკმარისია. გარდა ამისა, შესაძლებელია საჭირო გახდეს ამხანაგობის შექმნა, რაც მოითხოვს გარკვეულ ვადებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტენდერის გამოცხადებამდე გათვალისწინებულ უნდა იქნას ტენდერის მიმდინარეობის შესაბამისი ვადები.

ერთ-ერთი ბარიერი, რაც ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესის ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობას წარმოადგენს ალტერნატივების შეზღუდვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან. შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი. არსებობს შემთხვევები, როდესაც მოთხოვნები გადაჭარბებულია და არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებებს. ამასთან, რიგ შემთხვევაში განსაზღვრული სპეციფიკაციები მორგებულია ერთ კონკრეტულ პროდუქტს და ზღუდავს

ალტერნატივებს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია შესყიდვის ობიექტის შედეგის სპეციფიკაციის აღწერა, რაც ხელს უწყობს საჭიროების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა ალტერნატივის დაშვებას.

იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს შესასყიდი ობიექტის ხარისხი, საჭიროა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ იქნას მიმწოდებლის ცოდნისა და გამოცდილების დადასტურება, სანდოობის, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების შეფასება. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მორგებული უნდა იყოს თითოეულ შესყიდვაზე, რათა არ მოხდეს კონკურენციის შეზღუდვა. მოთხოვნები შესაბამისობაში უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მოცულობასთან, მიწოდების ვადებთან და სპეციფიკაციასთან. უპირველეს ყოვლისა, შეუსაბამო ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესს.

მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ანგარიშსწორების ვადები განისაზღვროს გონივრულად. თუკი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს მნიშვნელოვნად აღემატება ანგარიშსწორების ვადებს, მიმწოდებელი ორგანიზაციები თავს იკავებენ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისგან. დაგვიანებული გადახდები მცირე და საშუალო ბიზნესს შესყიდვებში აქტიურობის სტიმულს უკარგავს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად შემუშავდა მითითება, რომლის მიხედვით ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2005). თუმცა, აღნიშნული ვადაც საკმაოდ ხანგრძლივია მიმწოდებელი კომპანიებისთვის.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიისა, მოთხოვნილია შესყიდვის უზრუნველყოფის სხვა საშუალებაც - პირგასამტეხლო (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2023). პირგასამტეხლო მიმწოდებელ კომპანიას ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არ შეასრულებს, ან ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ პირგასამტეხლოს მოცულობა ზოგიერთ შემთხვევაში გონივრულ მოცულობაზე მაღალია. პირგასამტეხლო

არ არის მიმწოდებლის მიერ დამდგარი ზიანის ანაზღაურების ბერკეტი, ზიანის ანაზღაურება შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მოითხოვოს დამოუკიდებლად, კანონმდებლობის შესაბამისად. პირგასამტეხლოს არაგონივრულად მაღალი ოდენობა მძიმე ტვირთს აკისრებს მიმწოდებელს, რაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან.

მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვროს ხელშეკრულების ღირებულების 20%-მდე; არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%; ხოლო, ნაწილობრივ შესრულების დროს, დარჩენილი ვალდებულებები ღირებულების 10%-მდე (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2023).

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს გამოცხადებული 32,076 ტენდერიდან, ხელშეკრულება დაიდო 22,953 ტენდერში.

2023 წელს უარყოფითი შედეგით დასრულდა 2,043 ტენდერი, ხოლო არ შედგა 4,899 ტენდერი (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025).

დიაგრამა 2.3.4 ტენდერის საბოლოოს სტატუსები 2024 წელს



წყარო: (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

2024 წელს დაიდო 21,859 ხელშეკრულება, ხოლო არ შედგა 4,233 ტენდერი. ასევე, 1,880 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს (შავი სია) (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 2005). შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი არის თუ პრეტენდენტი ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვებისთვის; თუ მიმწოდებელმა/პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვებისთვის ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც ხნობილი გახდება ხელშეკრულების დადების შემდეგ; თუ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არაჯეროვნად ან ვერ შეასრულა. შავ სიაში რეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში მიმწოდებელს/პრეტენდენტს არ აქვს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის და ხელშეკრულების დადების უფლება (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2015).

დიაგრამა 2.3.5 შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 2024 წელს



წყარო: (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

2023 წელს შავ სიაში დარეგისტრირდა 390 კომპანია, ხოლო გაფრთხილება მიიღო 98-მა. 2024 წელს კი შავ სიაში დარეგისტრირდა 337 კომპანია, ხოლო გაფრთხილება მიიღო 95-მა კომპანიამ (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025).

ერთის მხრივ შავი სია შემსყიდველ ორგანიზაციებს „იცავს“ არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლებისგან, ხოლო მეორე მხრივ იზღუდება კონკურენცია, არათანაბარ, არასამართლიან დისკრიმინაციულ გარემოში ხდება კომპანიების ოპერირება. მიმწოდებლის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია არასტაბილური სავალუტო კურსით, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, რეგიონში მიმდინარე ომების შედეგად სავაჭრო ურთიერთობების შეფერხებით, პროდუქტებზე ფასების დაუგეგმავი მატებით და სხვა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მცირე და საშუალო ბიზნესი კი განსაკუთრებით სენსიტიურია გარემო ფაქტორების მიმართ. ვინაიდან, შავ სიაში რეგისტრირება მიმწოდებელს უზღუდავს ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას, კომპანიები თავიდანვე თავს არიდებენ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას. უფრო სამართლიანი მიდგომაა, თუკი მიმწოდებელი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში აგებს პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე. გასათვალისწინებელია, რომ მიმწოდებელი ზოგჯერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს არა პერმანენტულად, არამედ გამონაკლის შემთხვევებში, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამომდინარეობს. ამასთან, ვინაიდან, დამწყები მცირე და საშუალო ბიზნესი პრაქტიკაში უკეთ ავითარებს სავაჭრო ურთიერთობებს, არ არის მიზანშეწონილი ერთი შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების გამო „დაიჩაგროს“ და ერთი წლის განმავლობაში ვეღარ შეძლოს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა (მგელაძე, 2016). სახელმწიფო უწყებები ხელს არ უნდა უშლიდნენ, არ უნდა ზღუდავდნენ ბიზნესის საქმიანობას, არამედ კვალიფიციურად უნდა უწყობდნენ ხელს და ასტიმულირებდნენ მათ ჩართულობას სახელმწიფო შესყიდვებში.

გარდა შავი სიისა, ხორციელდება თეთრი სიის წარმოებაც. თეთრი სია არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ წარმოებული ელექტრონული რეესტრი, სადაც რეგისტრირებული მიმწოდებლები სარგებლობენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შედარებით გამარტივებული პროცედურებით, მათ შორის: იმ შემთხვევაში თუ შესყიდვა ხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორებით, თეთრს სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წარადგენს მხოლოდ გადასახდელი თანხის ნახევარს. ასევე, თუ მიმწოდებელს აქვს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულება, თეთრს სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წარადგენს მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ნახევარს. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია გადაწყვეტს, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შესაძლებელია საერთოდ გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენასთან დაკავშირებული ვალდებულებისგან (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2016). მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრირდება ერთი წლის ვადით. საგულისხმოა, რომ თეთრ სიაში დასარეგისტრირებლად აუცილებელია მიმწოდებელი აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას, მათ შორის: მიმწოდებელი უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შავ სიაში რეგისტრირებულია არ ყოფილა, ამასთან, არ მიუღია გაფრთხილება შავ სიაში რეგისტრირებასთან დაკავშირებით; მიმწოდებელი არ არის მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის/ გადახდისუუნარობის/ რეორგანიზაციის საქმის წარმოება; მიმწოდებელს არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება და სხვა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2016).

2023 წელს თეთრ სიაში დარეგისტრირდა 143 მიმწოდებელი, ხოლო რეგისტრაცია გაუგრძელდა 58 მიმწოდებელს. 2024 წელს კი თეთრ სიაში დარეგისტრირდა 115 მიმწოდებელი (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025).

დიაგრამა 2.3.6 თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 2024 წელს



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

ვინაიდან, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი სარგებლობს რეპუტაციით, შემსყიდველი ორგანიზაციები გამარტივებული შესყიდვების დროს ხელშეკრულების გაფორმების უპირატესობას მათ ანიჭებენ. თეთრ სიაში რეგისტრირების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არანაკლებს 1,000,000 ლარის ბრუნვა, ამასთან, ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 200,000 ლარის ბრუნვა, ან ბოლო სამი წლის განმავლობაში გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 20 ხელშეკრულება, ამასთან ბოლო წელს არანაკლებ 5 ხელშეკრულება. ხოლო, ხელშეკრულებები უნდა იყოს შესრულებული (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2016). ცხადია, აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას დამწყები ბიზნესები ვერ შეძლებენ, ვერც მცირე და საშუალო

ბიზნესის გარკვეული ნაწილი. შესაბამისად, იზღუდება კონკურენცია და მიმწოდებლების თანასწორი/პროპორციული მოპყრობა. ნაკლები კონკურენცია დაკავშირებულია ფასების მატებასთან და საბიუჯეტო ხარჯების არარაციონალურ ხარჯვასთან. ამასთან, როგორც თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს, ასევე შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს არანაირი გარანტია იმისა, რომ თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი სხვადასხვა მიზეზით ვერ/არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკირს ვალდებულებებს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ეჭქვეშ დგება თეთრი და შავი სიების ეფექტიანობა.

ცხრილი 2.3.1 შავ და თეთრ სიებში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა 2017-2024 წლებში

წლები	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
შავი სია	465	403	592	434	441	512	390	337
თეთრი სია	116	99	126	138	147	172	143	115

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2025)

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა თითოეულ წელს აღმატება თეთრ სიაში რეგისტრირებულთა რაოდენობას. ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ბიზნესს უნდა ჰქონდეს ერთნაირი სასტარტო პირობები და არცერთი მათგანი არ უნდა იყოს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში (მგელაძე 2016). საბოლოო ჯამში კი მიიღწევა ის მიზნები, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონითაა განსაზღვრული, კერძოდ, ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა, ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, მიმწოდებლებთან არადისკრიმინაციული, თანასწორი და პროპორციული მოპყრობა.

დღესდღეობით მცირე და საშუალო ბიზნესის მზაობა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად არ არის სათანადო. კერძო სექტორს არ აქვს შესაბამისი ცოდნა

და კვალიფიკაცია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს უფასო ტრენინგებს შემსყიდველ ორგანიზაციებში შესყიდვების სფეროში დასაქმებულ პირთათვის, ხოლო კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის სააგენტოს მიერ აღნიშნული ტრენინგი არ ტარდება. უფასო ტრენინგები და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის აუცილებლობას წარმოადგენს (Goderdzishvili, 2019). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რაც დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობასთან არის ინფორმაციებზე წვდომის დაბალი დონე (ხარაიშვილი, 2022). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელმა ორგანომ დაარეგულიროს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ელექტრონული საინფორმაციო სისტემასთან და პლატფორმებთან დაკავშირებული საკითხები (Zdyrko, 2020).

წინამდებარე კვლევის მიზანია განისაზღვროს რა გავლენას ახდენს სახელმწიფო შესყიდვები მცირე და საშუალო ბიზნესზე, კერძოდ უნდა შეფასდეს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების მოცულობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობას შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულ იქნა წრფივი რეგრესიული ანალიზის მეთოდი, Microsoft Excel-ის მეშვეობით.

კვლევის განსახორციელებლად საჭირო მონაცემები 2013-2023 წლების შესაბამისად მოცემული ცხრილი 2.3.2-ში.

ცხრილი 2.3.2 2013-2023 წლებში სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები (მლრდ. ლარი) და მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი)

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ხელშ. ღირებულება	2.79	2.85	3.20	4.02	3.65	4.09	5.33	5.14	5.75	7.4	10.5

მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი)	25732	28786	32313	35826	39539	43722	48520	47654	52169	62646	69517

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (State Procurement Agency, 2024) (National Statistical Service of Georgia, 2024).

წრფივი რეგრესიის ზოგადი სახე შემდეგნაირია: $y = a0+a1x1+a2x2+\dots a_nx_n$, სადაც x – ფაქტორული ცვლადია; y - შედეგობრივი ცვლადია; a - რეგრესიის კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ფაქტორების მნიშვნელობას; n - ფაქტორთა რაოდენობაა. კვლევის ფარგლებში y წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი), ხოლო x წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებების (მლრდ. ლარი) მოცულობას. მონაცემების ჩასმით მივიღებთ ცხრილი 2.3.3-ს.

ცხრილი 2.3.3 x და y კოეფიციენტებით გამოსახული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები (მლრდ. ლარი), მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი)

A	Y	X
1	25732	2.79
2	28786	2.85
3	32313	3.20
4	35826	4.02
5	39539	3.65
6	43722	4.09

7	48520	5.33
8	47654	5.14
9	52169	5.75
10	66861	7.4
11	69517	10.5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

Microsoft Excel-ში შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით, შედეგების ანალიზით ვიღებთ შემდეგ პარამეტრებს:

ცხრილი 2.3.4 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.943793705
R Square	0.890746557
Adjusted R Square	0.878607285
Standard Error	4999.250173
Observations	11

ANOVA

	Df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	1	1833881498	1.83E+09	73.37727	1.2768E-05
Residual	9	224932520.6	24992502		
Total	10	2058814019			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	15355.93	3732.27	4.11	0.002	6912.93	23798.94	6912.93	23798.94
X Variable 1	5879.45	686.366	8.56	1.28E-05	4326.78	7432.122	4326.783711	7432.12

მიღებული დეტერმინაციის კოეფიციენტის R^2-ის მნიშვნელობა არის 0.890746557, ეს ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობას მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების მოცულობასთან. საგულისხმოა, რომ რაც უფრო მიახლოებულია R^2-ის მნიშვნელობა 1-თან, კავშირი უფრო მჭიდროა, ხოლო 0.5-ზე ნაკლები მნიშვენლობის შემთხვევაში ცვლადებს შორის მჭიდრო კავშირი არ დასტურდება. კოეფიციენტის (X Variable 1) 5879.453 მნიშვნელობა დადებითია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების ზრდა გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობას (Udesiani & Sologasvili, 2025).

რეგრესიული ანალიზის მეშვეობით მიღებული კორელაციის კოეფიციენტი, რაც ცვლადებს შორის კავშირის სიმჭიდროვეს განსაზღვრავს, არის 0.94379. მიიჩნევა, რომ 0.5-დან 1-მდე კორელაციის მაჩვენებელი ცვლადებს შორის ძლიერ კავშირზე მიუთითებს. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებების ზრდა მჭიდრო კავშირშია მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობასთან. მიღებული შედეგები ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებისთვის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრების ხელშეწყობაში, საჭიროა აღნიშნული სექტორის სტიმულირება, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში. გარდა ამისა, აუცილებელია გაუმჯობესდეს პროცესი და პროცედურები რაც აფერხებს ბიზნესს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას (Udesiani & Sologasvili, 2025).

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-4 კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოსთვის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, კერძოდ, ხსნის ევროკავშირის ბაზარს. DCFTA როგორც მომსახურებით,

ასევე საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს, ამასთან, გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაკავშირება ევროკავშირში არსებულ კანონმდებლობასთან. შეთანხმების ფარგლებში შესაძლებელი გახდება ახალ ბაზრებზე შესვლა, გამარტივდება საბაჟო პროცედურები, გაჯანსაღდება კონკურენცია, გაიზრდება ინვესტიციები, საექსპორტო პოტენციალი. საქართველომ უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწია, რაც გულისხმობს ქართული წარმოების პროდუქტების ნულოვანი საბაჟო ტარიფით ევროკავშირში შესვლას, იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი დააკმაყოფილებს სტანდარტებსა და პირობებს (საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიო პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია, 2022).

აღნიშნული რეგულაციების ამოქმედებით საქართველოში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობა ექნება საქონელი მიაწოდოს და მომსახურება გაუწიოს 28 ქვეყანაში არსებულ 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს, რაც გაზრდის ბიზნესის საექსპორტო შესაძლებლობებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022). აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისთვის, რადგან საქართველოში მოიმატებს ინვესტიციების მოცულობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ევროკავშირში არსებული სტანდარტებიდან გამომდინარე გაიზრდება წარმოებული პროდუქციის ხარისხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ყველა ბიზნესის 99%-ს (European Commission, 2023).

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ“ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად დამტკიცდა ახალი კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. კანონი კარდინალურად იცვლება არსებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან შედარებით და ითვალისწინებს ევროდირექტივებით განსაზღვრული რეგულაციების იმპლემენტაციას საქართველოში არსებულ კანონმდებლობაში. უფრო კონკრეტულად, იცვლება მიდგომები და ასპექტები, რაც დაკავშირებულია საჯარო შესყიდვებთან, ასევე, უნდა დაინერგოს შესყიდვის ახალი პროცედურები, მიდგომები, ინსტრუმენტები (DCFTA თავისუფალი ბაჭრობა ევროკავშირთან, 2022). საბოლოო ჯამში,

ახალმა კანონმა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის უნდა შექმნას მოქნილი გარემო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობისათვის. ახალი კანონის ძირითადი დებულებების ამოქმედება იგეგმება 2025 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 Covid-19 პანდემიის გავლენის კვლევა მცირე და საშუალო ბიზნესზე

საქართველოსა და მსოფლიოში კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიზნესის თითქმის ყველა სფეროზე. პანდემიისგან გამოწვეულმა კრიზისმა ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და ზრდას. ორგანიზაციები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე და დადგნენ ახალი გამოწვევების წინაშე ეპიდემიის, შეზღუდვებისა და კარანტინის პირობებში. Covid-19 პანდემიის დროს მსოფლიო ეკონომიკა აღმოჩნდა გლობალურ კრიზისში, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სოციალური და ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდაზე (Shengelia, 2021). ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაწესებული შეზღუდვების გამო ბიზნესი დადგა სირთულეების და ახალი გამოწვევების პირისპირ. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანი როლი შეიძინა მცირე და საშუალო ბიზნესის სიახლეებთან ადაპტაციის და ახალი შესაძლებლობების გამოყენების ფაქტორმა. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ქმნის წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს და უზრუნველყოფს დასაქმებას, კრიზისულ პერიოდში მეტად ზარალდებიან, რაც გამოწვეულია ფინანსური, მატერიალური და სხვა სახის რესურსების სიმცირით. Covid-19 პანდემიის შეზღუდვებმა ძირეულად შეცვალა ბიზნეს ლანდშაფტი (Khikhadze, 2022).

Covid-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი შოკი გამოიწვია საქართველოს ეკონომიკაში და განსაკუთრებით მძიმედ აისახა მცირე და საშუალო ბიზნესზე (SMEs),

რომელიც ხასიათდება შეზღუდული ფინანსური რესურსებით, ნაკლები კაპიტალიზაციით და ბაზრის ცვლილებებზე მაღალი მგრძნობელობით. პანდემიის პერიოდში დაწესებულმა შეზღუდვებმა, გადაადგილების რეგულაციებმა და საგარეო მოთხოვნის შემცირებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა საწარმოთა საქმიანობაზე. პანდემიის პირველ ეტაპზე შემცირდა როგორც შიდა მოხმარება, ასევე ექსპორტი და ტურისტული ნაკადები. განსაკუთრებით დაზარალდა მომსახურების სექტორი — ტურიზმი, სასტუმროები, კვების ობიექტები, ტრანსპორტი და გასართობი ინდუსტრია. მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სექტორებშია კონცენტრირებული, რის შედეგადაც ბევრი საწარმო დროებით შეწყვიტა საქმიანობა ან სრულად დატოვა ბაზარი.

პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც მიწოდებაზე, ასევე მოთხოვნაზე, შემცირდა შემოსავლები შიდა და გარე წყაროებიდან. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ტურიზმის სექტორს, შემცირდა ექსპორტის მოცულობა, გაიზარდა უმუშევრობის დონე. დაწესებული შეზღუდვებისა და კრიზისის პირობებში 2020 წელს საქართველოს მშპ 6.2%-ით, ექსპორტი 12%-ით, იმპორტი 15.6%-ით შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ექსპორტის კლება გამოწვეული იყო რე-ექსპორტის შემცირებით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი კი 3.5%-ით გაიზარდა. რაც შეეხება უმუშევრობის მაჩვენებლებს, 2020 წელს 0.9%-ით გაიზარდა და შეადგინა 18.5% წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით (საქართველოს მთავრობა, 2021). გამომდინარე აქედან, სახელმწიფომ განსაკუთრებული როლი შეიძინა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის თვალსაზრისით. ეკონომიკური ვარდნა ბოლო 60 წლის განმავლობაში არასდროს ყოფილა ასეთი მტკივნეული, როგორც კორონავირუსის პერიოდში (Zubiashvili, Silagadze, Atanelishvili, & Chikviladze, 2022).

პანდემიამ დააჩქარა ბიზნესის ციფრული ადაპტაცია. ონლაინ გაყიდვების, დისტანციური მომსახურების და ელექტრონული კომერციის მნიშვნელობა გაიზარდა. იმ კომპანიებმა, რომლებმაც სწრაფად მოახერხეს ციფრული არხების დანერგვა, შეძლეს ნაწილობრივ შეემსუბუქებინათ კრიზისის უარყოფითი ეფექტი. თუმცა მცირე ბიზნესის

ნაწილს არ გააჩნდა ტექნოლოგიური რესურსი ან შესაბამისი ცოდნა ამ ტრანსფორმაციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია, რომელიც გამოაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ არ გულისხმობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთიანი შეზღუდვების და აკრძალვების დაწესებას, თუმცა საქართველოში 2020 წლიდან დაწესდა გარკვეული სახის უფლებების შეზღუდვები, მაგალითად გადაადგილების, მიმოსვლის, შეკრების, თავშეყრის და სხვა. ამასთან, აკრძალვები შეეხო ბიზნესსაც. შეჩერდა საზღვაო, საჰაერო, სამგზავრო მიმოსვლა. ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით დაწესდა რეგულაციები. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია ბიზნესების დახურვა, დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლება ან ხელფასების შემცირება (უდესიანი & შაბურიშვილი, 2022). Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის გამო ეკონომიკა დაპაუზდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა მაკროეკონომიკური განვითარების დინამიკა (შენგელია, 2020). გლობალური ჩაკეტვა ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას (ბერიშვილი, 2021).

Covid-19-ის პანდემიამ გამოავლინა მცირე და საშუალო ბიზნესის სტრუქტურული სისუსტეები:

- ფინანსური მდგრადობის დაბალი დონე;
- ბაზრების დივერსიფიკაციის ნაკლებობა;
- ციფრული უნარების დეფიციტი.

ამავდროულად, კრიზისმა წარმოშვა ახალი შესაძლებლობებიც — ელექტრონული კომერციის განვითარება, ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობის ზრდა და ბიზნესის მოქნილობის გაძლიერება.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული ზიანი მიადგა შრომის ბაზარს, კერძოდ, 2019 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი 17.6% იყო, ხოლო 2020 წელს 18.5%. საქართველოს მოსახლეობის 21.3% 2020 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იყო, ხოლო, 2021 წელს უმუშევრობის დონემ 20.6%-ს მიაღწია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

გრაფიკი 2.4.1 უმუშევრობის დონე საქართველოში 2015-2023 წლებში (%)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024)

2020 წელს მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 28%-ით შემცირდა. 2021 წლიდან 2023 წლის ჩათვლით დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება.

წინამდებარე კვლევის მიზანია განისაზღვროს რა გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკურ მაჩვენებლებზე საქართველოში, კერძოდ, უნდა შეფასდეს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს (Ltd "BDO", 2018). აღნიშნული კავშირის

დასადგენად გამოვიყენებთ წრფივი რეგრესიული ანალიზის მეთოდს, Microsoft Excel-ის მეშვეობით.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე უნდა დავადგინოთ ორ დამოუკიდებელ ცვლადს შორის კავშირი, რომელთა მონაცემები 2015-2023 წლებში მოცემულია ცხრილი N1-ში.

ცხრილი 2.4.1 მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) და საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2015-2023 წლებში

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მშპ (მილიონი ლარი)	33935	35836	40761.7	44599.3	49252.7	49266.7	60003.3	72860.1	80246.1
საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა	626739	666790	708165	734215	756852	703874	744256	779418	748497

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

კვლევის ფარგლებში y წარმოადგენს მიმდინარე ფასებში მთლიან შიდა პროდუქტის მაჩვენებელს (მილიარდი ლარი), x - მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაა, ხოლო n ფაქტორთა რაოდენობა არის 9. მონაცემების ჩასმით მივიღებთ ცხრილი 2.4.1-ს:

ცხრილი 2.4.2 მთლიანი შიდა პროდუქტი და დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოებში

A	Y	X
1	33935	626739
2	35836	666790

3	40761.7	708165
4	44599.3	734215
5	49252.7	756852
6	49266.7	703874
7	60003.3	744256
8	72860.1	779418
9	80246.1	748497

Microsoft Excel-ის შესაბამისი ფუნქციით დაანგარიშებით ვიღებთ წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრებს:

ცხრილი 2.4.3 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.767972
R Square	0.589781
Adjusted R Square	0.531178
Standard Error	11042.070
Observations	9

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	1	122708428	1.23E+	10.064	0.0156556
Residual	7	853491321	1.22E+0		
Total	8	208057560			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	-133720.17	58614.93	-2.2813	0.0565	-272322.46	4882.1	-272322.4	4882.1221
X Variable 1	0.2581	0.081	3.1723	0.0156	0.0657	0.45	0.065	0.4506552

ანალიზისათვის განვიხილოთ კოეფიციენტების მნიშვნელობები და მოვახდინოთ მათი ინტერპრეტირება. უპირველეს ყოვლისა, დეტერმინაციის კოეფიციენტის R^2-ის მნიშვნელობა არის 0.589781, რაც ნიშნავს, რომ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული და გავლენას ახდენს მთლიან შიდა პროდუქტზე. იმ შემთხვევაში თუ კოეფიციენტი იქნებოდა 0.5-ზე ნაკლები, ცვლადებს შორის მჭიდრო კავშირი არ დადგინდებოდა. კოეფიციენტის 0.2581 (X Variable 1) დადებითი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად გაიზრდება x-ის მნიშვენლობა მით მეტად გაიზრდება y, კვლევის ფარგლებში კი ეს ნიშნავს, რომ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა გაზრდის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელობას.

რაც შეეხება კორელაციის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს ცვლადებს შორის კავშირის სიმჭიდროვეს, Microsoft Excel-ის შესაბამისი ფუნქციით დაანგარიშებით ვიღებთ 0.767972-ს. მიიჩნევა, რომ 0.5-მდე კავშირი სუსტია, ხოლო 0.5-დან 1-მდე კავშირი ძლიერია. ეს კი ნიშნავს, რომ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა მჭიდრო კავშირშია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასთან (Udesiani & Shaburishvili, 2023).

ანალიზი ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმება ქვეყნაში არსებული სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად. ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ აღნიშნული სექტორია, რომელიც უზრუნველყოფს კრიზისის დაძლევას, პოლიტიკურ სტაბილურობას და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას (მექვაბიშვილი, 2010).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა კავშირია აქვს სააგენტოს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის განკუთვნილი მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობას ჯამურად საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაზე.

ცხრილი 2.4.4 2015-2022 წლებში საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა

წლები	საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა (Y)	მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა (X)
2015	626739	1374
2016	666790	6488
2017	708165	5597
2018	734215	1555
2020	703874	2432
2022	779418	3739

წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მონაცემებზე დაყრდნობით

Microsoft Excel-ის შესაბამისი ფუნქციით დაანგარიშებით ვიღებთ წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრებს:

ცხრილი 2.4.5 წრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.0378092
R Square	0.0014295
Adjusted R Square	0.2482130
Standard Error	59051.299
Observations	6

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*

Regression	1	19968039.	19968039.	0.0057	0.9433132
Residual	4	139482238	34870559		
Total	5	139681918			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	699897.3	49861.274	14.03689	0.0001	561460.27	838334	561460.2	838334.45
X Variable 1	0.935416	12.361379	0.075672	0.9433	-33.385273	35.256	-33.38527	35.256107

რეგრესიული ანალიზის შედეგად მიღებული ანალიზით დგინდება, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტის R^2-ის მნიშვნელობაა 0.0378, რაც მიუთითებს, რომ მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაზე. კოეფიციენტის 0.9354 (X Variable 1) დადებითი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად გაიზრდება x-ის მნიშვენლობა მით მეტად გაიზრდება y. ხოლო, კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.0378 მიუთითებს, რომ ცვლადებს შორის კავშირი სუსტია. შესაბამისად, მიკრო გრანტების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა მჭიდრო კავშირში არაა საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობასთან.

ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ სიღარიბე და უმუშევრობა რჩება (Shaburishvili & Meskhia, 2014). მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ცოდნის დეფიციტი, რაც დაკავშირებულია ბიზნესის დაგეგმვასთან, მართვასთან და გაფართოებასთან, წარმოადგენს წარუმატებელი საქმიანობის ერთ-ერთ ფაქტორს. ქვეყანაში არსებული უმუშევრობისა და სიღარიბის დასაძლევად კი საჭიროა კომპლექსური მიდგომა. გარდამავალ პერიოდში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებამ და ამ სფეროში საქართველოს პოტენციალის რეალიზებამ შეიძლება

გადამწყვეტი როლი ითამაშოს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და უმუშევრობის შემცირების საქმეში (Shaburishvili, 2013).

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სოციალურ გამოწვევად რჩება. იგი გავლენას ახდენს, როგორც ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. შრომის ბაზარი კი კვლავ ხასიათდება სტრუქტურული პრობლემებით.

საქართველოში არსებული უმუშევრობის დიდი ნაწილი სწორედ სტრუქტურული ხასიათისაა. აღნიშნული გულისხმობს შეუსაბამობას სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და შრომის ბაზარზე მოთხოვნილ უნარებს შორის. განათლების სისტემა და პროფესიული მზაობა როგორც წესი ვერ პასუხობს კერძო სექტორის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შედეგად კი არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი რიგ სფეროებში და ამავდროულად უმუშევრობის მაღალი დონე.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი განსაკუთრებით ახალგაზრდებშია. მიუხედავად უმაღლესი განათლებისა, კურსდამთავრებულები სამუშაო გამოცდილების არ ქონის გამო ვერ საქმებიან. აღნიშნული იწვევს შრომით მიგრაციას და ე.წ. „ტვინების გადინებას“.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უკავია არაფორმალურ დასაქმებას, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობაში. თვითდასაქმებულთა უმეტესი წილი რეალურად წარმოადგენს დაბალპროდუქტიულ დასაქმებას, რაც ვერ უზრუნველყოფს საკმარის და სტაბილურ შემოსავალს. შედეგად მცირდება შრომის ბაზრის ხარისხობრივი მაჩვენებელი. ეკონომიკური აქტივობები ძირითადად კონცენტრირებულია დიდ ქალაქებში, რაც იწვევს შიდა მიგრაციის ზრდას და რეგიონების ეკონომიკურად დასუსტებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შრომის პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. დაბალი პროდუქტიულობა ზღუდავს ხელფასების ზრდის პოტენციალს და ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე არასაკმარისია, რაც აფერხებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

საქართველოში დასაქმების პრობლემები კომპლექსურ და მრავალმხრივ ხასიათს ატარებს. მათი ეფექტიანი გადაწყვეტა საჭიროებს შრომის ბაზრის რეფორმებს, განათლების სისტემის ადაპტაციას ეკონომიკის მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების გაძლიერებას, რეგიონული განვითარების პოლიტიკის გააქტიურებას და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებას.

Covid-19-ის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოში იყო როგორც მოკლევადიანი შოკური, ასევე სტრუქტურული ხასიათის. მიუხედავად სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებისა, კრიზისმა მკვეთრად წარმოაჩინა სექტორის მოწყვლადობა გარე შოკების მიმართ. მომავალში მსგავსი რისკების შესამცირებლად მნიშვნელოვანია:

- ფინანსური რეზერვების შექმნის სტიმულირება;
- ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა;
- სექტორული დივერსიფიკაცია;
- ანტიკრიზისული პოლიტიკის წინასწარი მექანიზმების შემუშავება.

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის კვლევა საქართველოში

3.1 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზის ფორმირება

კვლევის წარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს კვლევის დიზაინი (სქემა), რითაც მკვლევარი იხელმძღვანელებს (წულაძე, 2020). მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის დიზაინი იხვეწება კვლევის პროცესში და განიცდის მოდიფიკაციას, რის გამოც თვისებრივი კვლევის დიზაინს უწოდებენ „ინტერაქციულს“ (Maxwell, 2013). თვისებრივი კვლევა მდიდარი მონაცემების მიღების შესაძლებლობას იძლევა და არ გამოირჩევა სტანდარტიზებული და ფორმალიზებული ხასიათით (კაჭკაჭიშვილი, 2016). თვისებრივი კვლევის სტრატეგია მდგომარეობს საკითხის ანალიზის ძიებაში, ღია და არასტრუქტურირებულ ხასიათში, რა დროსაც საკითხის განხილვა ხდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით (ბურნაძე, 2010). თვისებრივი კვლევა პრობლემის სიღრმისეულ და საფუძვლიან ანალიზში გვეხმარება (Saunders, Lewis, & Thornhill, 2007).

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ქეისების ანალიზის მეთოდი. ქეისების ანალიზის არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს საკითხს, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს განავითაროს ჰიპოთეზები (Cherry, 2024). ქეისების ანალიზი არის პრაქტიკული მეთოდი, რომელიც განსაკუთრებით გამოსადეგია, როდესაც შესასწავლის საგანი არის კონტექსტურად მგრძნობიარე (Yin & Davis, 2007). ქეისების ანალიზი ორი სახისაა: ერთი შემთხვევის ანალიზი (Single Case Study) და მრავალი შემთხვევის ანალიზი (Multiple Case Studies) (Stake, 2006). მრავალი შემთხვევის ანალიზი მოიცავს მსგავსებებს, განსხვავებებს და ურთიერთკავშირებს ორ ან მეტ ქეისს შორის, რომლებიც მსგავს მიზანს ემსახურებიან (Gerring, 2017). კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მრავალი ქეისის შესწავლის მეთოდი. კვლევის წარმატებით განსახორციელებლად სასურველია ჩატარდეს ერთზე მეტი ქეისის ანალიზი, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება ანალიტიკური სარგებელი (Yin, 2018).

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიკითხა 10 მცირე ბიზნესი, რომლებიც დაფინანსდნენ სააგენტოს „აწარმოა საქართველოში“ გრანტით. კვლევაში ჩაერთო სხვადასხვა სექტორებისა და რეგიონების წარმომადგენლები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საკითხის ფართო პერსპექტივიდან დაგვენახა. საგულისხმოა, რომ ბიზნესის მახასიათებლები და საჭიროებები განსხვავებულია ინდუსტრიების მიხედვით (Bryman, 2012). კვლევა ჩატარდა 2024 წლის 10 მაისიდან და 28 ივნისის ჩათვლით პერიოდში. საწყის ეტაპზე მოხდა კითხვარის შემუშავება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ რა გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დგას მცირე და საშუალო ბიზნესი სახელმწიფო პროგრამებით/გრანტებით დაფინანსების მიუხედავად, ამასთან, შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობის შეფასება და წარმოვადგინოთ შესაბამისი რეკომენდაციები. კითხვარი შედგებოდა 18 კითხვისგან (იხ. დანართი N1), რომლის შედგენის პროცესში აქტიურად ჩაერთო, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, პრაქტიკული სფეროს წარმომადგენლები. ცხრილი 3.1.1-ში მოცემულია შერჩეული ბიზნესები, მათი დაარსების და გრანტის მიღების წლები, მუნიციპალიტეტი, ასევე ინდუსტრია/საქმიანობის სფერო.

ცხრილი 3.1.1 კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია

ქეისი/ ბენეფიციარი	ბიზნესის შექმნის წელი	გრანტის მიღების წელი	მუნიციპალიტეტი	ინდუსტრია/ სფერო
1	2008	2023	მესტია	საოჯახო სასტუმრო
2	2018	2020	ოზურგეთი	ტანსაცმლის სამკერვალო

3	2021	2023	თბილისი	ქართულ ტრადიციულ მოტივებზე სამკერვალო
4	2017	2019	მარნეული	საცხობი
5	2020		ამბროლაური	რაჭული ლორის წარმოება
6	2013	2021	მესტია (უშგული)	ფოტოგრაფია/ ვიდეოგრაფია
7	2021	2022	თბილისი	ატელიე
8	2022	2022	თბილისი	ტანსაცმლის სამკერვალო
9	2021	2021	თბილისი	პიცერია
10	2013	2022	მესტია	საკონდიტრო

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კვლევის პროცესში გამოყენებულია სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი ღია კითხვებით. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შემთხვევაში წინასწარ მომზადებული შეკითხვების თანმიმდევრობა შესაძლებელია შეიცვალოს ინტერვიუს მიმდინარეობის დროს, ვინაიდან შეიძლება რესპოდენტის მიერ ერთ კითხვაზე გაცემული პასუხი მოიცავდეს მეორე კითხვას, ან შეკითხვების თანმიმდევრობა ინტერვიუს მსვლელობის დროს ლოგიკურად გადალაგდეს. ასევე, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს დროს, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია დამაზუსტებელი შეკითხვების გამოყენება ან/და შეკითხვის ფორმულირების ცვლილება (წულაძე, 2020). ხოლო, ღია კითხვები დაგვეხმარა თავიდან აგვერიდებინა „კი“ და „არა“ პასუხები, რითაც რესპოდენტებს სრული და ამომწურავი პასუხების გაცემის შესაძლებლობა მიეცათ. კვლევა წარიმართა

მიუკერძოებლად, ეთიკის ნორმების დაცვით. ინტერვიუ განიხილება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ქეისების ანალიზის დროს (Yin, 2018).

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა ო'კონორისა და გიბსონის ხუთსაფეხურიანი გაიდლაინით (O'Connor & Gibson, 2003), რაც გულისხმობს, (1) მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზებას, (2) იდეებისა და კონცეფციების მოძიებას და ორგანიზებას, (3) მონაცემთა ძირითადი საკითხების იდენტიფიცირებას, (4) მონაცემთა ანალიზს და სანდოობისა და ლეგიტიმურობის უზრუნველყოფას, (5) სარწმუნო განმარტებების აღმოჩენას.

საგულისხმოა, რომ კვლევის ხარისხი შეიძლება შეფასდეს მისი სანდოობით (Saunders, Lewis, & Thornhill, 2009). კვლევის სანდოობა ნიშნავს, რომ კვლევის შედეგები არ არის შემთხვევითი და შედეგების განმეორებითობადობა შესაძლებელია, თუ იგივე პროცედურა და ტექნიკა იქნება დაცული (Dulovits & Tewelu, 2020).

კვლევის შედეგების ვიზუალიზაციისთვის გამოვიყენეთ „Fishbone" დიაგრამა. „Fishbone" დიაგრამა არის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბიზნესში კონკრეტული მოვლენის, პრობლემის ან შედეგის მრავალი შესაძლო მიზეზის დასადგენად და გამოსაკვლევად. „Fishbone" დიაგრამა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული პოტენციური მიზეზები (Tegan, 2024).

3.2 მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი და საინტერესო შედეგები, რაც იძლევა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. კვლევაში მონაწილე 10 ბენეფიციარიდან 4 ოპერირებდა თბილისში, 3 მესტიის მუნიციპალიტეტში, ხოლო დანარჩენი მარნეულში, ამბროლაურსა და ოზურგეთში. გამოკითხული

ბენეფიციარებიდან 4 ბიზნესი დაარსდა გრანტის მიღების მომენტში, ხოლო 6 ბიზნესი ფუნქციონირებდა გრანტის მიღებამდე.

ცხრილი 3.2.1 დასაქმებულთა რაოდენობა გამოკითხული ბენეფიციარების ბიზნესებში

ქეისი/ ბენეფიციარი	დასაქმებულთა რაოდენობა გრანტის მიღებამდე	დასაქმებულთა რაოდენობა გრანტის მიღების შემდეგ
1	4	4
2	-	1
3	3	4
4	-	3
5	1	1
6	1	1
7	2	5
8	-	8
9	-	5
10	2	5

წყარო: აგებულია ავტორის მიერ

საგულისხმოა, რომ 2-მა ბიზნესმა გრანტის მიღების შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა. გამოკითხული 10 ბენეფიციარიდან მხოლოდ 3 ბიზნესში გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა გრანტის მიღების შემდეგ. კვლევაში ჩართული იყო ბენეფიციარები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, სასტუმრო, საცხობი, სამკერვალო, პიცერია, საკონდიტრო, საკვების წარმოება, ფოტოგრაფია/ვიდეოგრაფია.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გრანტის მისაღებად ბიზნესიდეისა და ბიზნესგეგმის დაწერა სირთულეს არ წარმოადგენდა. თუმცა გამოიკვეთა, რომ

ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა ბენეფიციარებს დახმარება სხვისგან მიეღოთ, მათ შორის მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისგან და ნაცნობებისგან (ქეისი 2, ქეისი 3, ქეისი 5, ქეისი 10).

- მიღებული დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში მათი ბიზნესის არსებობაზე გავლენას არ მოახდენდა:

  „ჩემი ბიზნესი ფუნქციონირებას არ შეწყვეტდა, მაგრამ გრანტის მიღების შემდეგ ბიზნესი გავაფართოვე“ (ქეისი 1).

  „საქმიანობას, რა თქმა უნდა, გავაგრძელებდი, მაგრამ ტექნიკა მექნებოდა შედარებით ნაკლები, ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა მაქვს“ (ქეისი 6).

- მიუხედავად იმისა, რომ გრანტის მიღება წარმოადგენდა ბიზნესისთვის მნიშვნელოვან დახმარებას, კვლევის პროცესში გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რასაც ბენეფიციარები წააწყდნენ. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა გრანტის ჩარიცხვის პერიოდი და ბენეფიციარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადები.

  „პრობლემას წარმოადგენდა გრანტის მიღების პერიოდი. გრანტის თანხა ჩაგვერიცხა შემოდგომაზე. ვინაიდან, ბიზნესი ფუნქციონირებს მაღალმთიან რეგიონში, ძალიან ჭირს სარემონტო სამუშაოების შესრულება ზამთრის პერიოდში. სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრული გვქონდა 3 თვე, რის გამოც ძალიან გაგვიჭირდა მოსწრება. სიცივეების გამო იყინებოდა სამშენებლო მასალები, შესაბამისად ვერ მოვახერხეთ ხარისხიანი რემონტის გაკეთება“ (ქეისი 1).

  „ჩემი სურვილი იყო, რომ საქმიანობის დაწყებისთანავე ჩამრიცხვოდა გრანტი, თუმცა საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ჩემი თანხების დახარჯვიდან 1 თვეში ჩამერიცხა გრანტის თანხა, რის გამოც დავკარგე დიდი დრო. ამასთან, იმისათვის, რომ სააგენტოსთვის მეჩვენებინა თანამონაწილეობის ხარჯი, წინასწარ მომიწია ისეთი ხარჯების გაწევა

(მაგალითად, იჯარა), რასაც სხვა შემთხვევაში მოგებიდან გადავიხდიდი. ამის გამო სხვა მნიშვნელოვანი ხარჯებისთვის (მაგალითად, მარკეტინგი), თანხა არ დამრჩა" (ქეისი 9).

„პრობლემა იყო დროში ყველაფრის მოსწრება" (ქეისი 8).

- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გრანტის გაცემის პროცესში ბიუროკრატიული და ხისტი მიდგომები. ბიზნეს გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა ბენეფიციარებს არ აქვთ:

„შეიძლება ბიზნეს გეგმა დაწერო, მაგრამ არის შემთხვევები როცა გჭირდება ცვლილებების შეტანა. პროექტის ფარგლებში ცვლილებების განხორციელება არ შეიძლებოდა" (ქეისი 10).

„სააგენტო შეღავათებზე არ წამოვიდა. საჭიროა მეტი მოქნილობა და ნაკლები ბიუროკრატია" (ქეისი 9).

- კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ გრანტის თანამონაწილეობის თანხა, საგრანტო კონკურში მონაწილეობის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე, ბენეფიციარებს უწევთ იმაზე მეტი თანხის ხარჯვა, რასაც წინასწარ მოელიან:

„საბოლოო ჯამში, ხარჯი მაინც უფრო მეტია" (ქეისი 8).

„ცუდი იყო სააგენტოს მიდგომა გრანტის გაცემასთან დაკავშირებით. თანამონაწილეობის პროცენტი შეადგენს 10-20%-ს, რაც ძალიან დიდია. აღნიშნულის გამო საგრანტო კონკურსში მონაწილეობისგან ბიზნესები თავს იკავებენ. ასევე, ბიზნესის დასაწყებად დავხარჯე საკუთარი დიდი თანხები" (ქეისი 9).

- გრანტის მიღების შემდეგ ბენეფიციარები აწყდებიან რიგ პრობლემებს, რაც დაკავშირებულია კვალიფიციური კადრების მოძიებასთან, სეზონურ გაყიდვებთან, შესაბამისი ცოდნის (მენეჯმენტი, ბუღალტერია, ფინანსები) არქონასთან და სხვა:

„ბრენდს ჭირდება პოპულარიზაცია და რეკლამა. ამისთვის გვჭირდება ფინანსები, რაც არ გვაქვს. ასევე, გვიჭირს ონლაინ გაყიდვები. ჩვენი ძალებით არ გამოგვდის და სპეციალისტის დაქირავება ძვირი ჯდება“ (ქეისი 3).

„მე მირჩევნია მასწავლონ ბიზნესის მართვა (მენეჯმენტი, ფინანსები, ბუღალტერია და სხვა), ვიდრე მომცენ თანხა. ცოდნა და განათლება ჩემთვის უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. მე ვიცი, რომ ბევრ შეცდომებს ვუშვებ მენეჯმენტშიც. შესაბამისი განათლება რომ მქონდეს უკეთესად ავაწყობდი ბიზნესს“ (ქეისი 10).

„გამოწვევები ბიზნესს სულ აქვს, რადგან ჩემი წარმოება და გაყიდვები სეზონურია“ (ქეისი 5).

„ძალიან ბევრი პრობლემები გვაქვს. ხშირია შემთხვევა როცა იკეტება გზები (ბიზნესი ფუნქციონირებს მაღალმთიან რეგიონში), რის გამოც ველარ ამოდის ტურისტი, ასევე დისტრიბუციის მანქანები, რომლებიც გვაწვდიან პროდუქტს. ხშირად ითიშება ელექტრო ენერგია. გვიჭირს ბიზნესისთვის აღებული მაღალპროცენტიანი სესხების გადახდა (ქეისი 10).

- არსებული გამოწვევების ფონზე, გამოკითხულთაგან 2-მა ბიზნესმა შეწყვიტა ფუნქციონირება, რაც გამოწვეული იყო კვალიფიციური კადრების დეფიციტით სხვადასხვა სფეროში, გამოცდილებისა და განათლების არქონასთან:

„წელიწადნახევრის განმავლობაში ბიზნესი ფუნქციონირებდა, თუმცა იყო მცხობელის პრობლემა, რადგან ვერ ვიპოვე კვალიფიციური კადრი. ვინც მოვიყვანე, ყველა უფრო და უფრო აუარესებდა ხარისხს; მომაკლდა მომხმარებელი; ასევე, დაიწყო კოვიდ პანდემია“ (ქეისი 4).

„„ვმუშაობდი სხვა სამსახურში პარალელურად, რის გამოც ვერ ვუთმობდი საკმარის დროს სტაფს, ასევე ხარისხის კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ მყავდა მენეჯერი, საქართველოში მწვავედ დგას სტაფის პრობლემა. არ მქონდა გამოცდილება ბიზნესის კეთებაში, ვერ შევარჩიე სწორი მარკეტინგული სტრატეგია, თანხები ისე დამეხარჯა, რომ მარკეტინგისთვის აღარ დამრჩა საკმარისი რაოდენობის ფინანსები“ (ქეისი 9).

კვლევი შედეგების საილუსტრაციოდ ავაგეთ „Fishbone“ დიაგრამა:

დიაგრამა 3.2.1 „Fishbone“ დიაგრამა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ

თითოეული ქეისის შემთხვევაში, ბენეფიციარები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერა მათი ბიზნესის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია.

მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ საგრანტო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა შესაძლებელი და აუცილებელია. კვლევის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ აუცილებელია გაიზარდოს საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა. ბენეფიციარები აღნიშნავენ, რომ უმჯობესია საგრანტო კონკურსები იყოს უფრო გამჭვირვალე და სანდო.

ბენეფიციარებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა. ექსპორტის ზრდა არა მხოლოდ ცალკეული ბიზნესებისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც უმნიშვნელოვანესია. კვლევის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა დაეხმარება ბიზნესს წარმატების მიღწევაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის მიმართულებები საქართველოში. კვლევის ფარგლებში განხორციელდა არსებული მდგომარეობის კვლევა, ანალიზი და სიღრმისეული შესწავლა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ძირითადი დასკვნების და შემუშავდა რეკომენდაციები.

- უცხოური გამოცდილებისა და ქეისების ანალიზის კვლევამ აჩვენა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული სექტორის განვითარება უმეტესწილად დამოკიდებულია პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე. არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და ინფლაციის ზრდა ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ამასთან, უმნიშვნელოვანესია სტაბილური პოლიტიკური გარემოს არსებობა. ქვეყანაში გამართული უნდა იყოს ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ტრანსპორტი, გზა, საკომუნიკაციო ქსელები, ელექტროენერგიის და წყლის სტაბილური მიწოდება, ინტერნეტით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქართველოსთვის შესაფერისი საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. სახელმწიფო პოლიტიკა გადამწყვეტი ფაქტორია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. შესაბამისად, სიტუაციის შესწავლა, ანალიზი და სისუსტეების აღმოჩენა დაეხმარება ბიზნესს არსებული პრობლემების დაძლევაში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებობდეს ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი სტრატეგიული გეგმების და პოლიტიკის შემუშავებაზე. აუცილებელია ინფორმაციის გაზიარება ბიზნესსა და მთავრობას შორის, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება გონივრული პოლიტიკა ბიზნესში არსებული სისუსტეების აღმოსაჩენად და მათ აღმოსაფხვრელად. ქვეყანაში უნდა

შეიქმნას ორგანიზაცია, რომლის როლი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიული გეგმების და პოლიტიკის შემუშავება, აუცილებელი წესებისა და რეგულაციების დაწესება ეროვნულ პროგრამასა და მონაწილე ორგანოებს შორის კოორდინაციის გასაძლიერებლად, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც პერმანენტულად ჩაატარებენ ბიზნესის მდგომარეობის ანალიზს და გამოავლენენ მათ საჭიროებებს. ამგვარად შესაძლებელი გახდება პროგრამების ეფექტიანად შემუშავება;

- სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოური გამოცდილების კვლევამ აჩვენა, რომ საჭიროა მთავრობის მიერ განხორციელდეს მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა და ფინანსური დახმარების კონცენტრაცია მოხდეს აღნიშნულ სექტორზე. მსგავსი სტრატეგია შეიმუშავა ესტონეთმა, როდესაც პრიორიტეტულ მიმართულებად ტექნოლოგიური სფერო აირჩია. აუცილებელია, რომ გაიმიჯნოს მცირე და საშუალო ბიზნესის სახეობები და მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შემუშავდეს განსხვავებული მხარდაჭერის პოლიტიკა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, ასევე, შემცირდეს სესხის საპროცენტო განაკვეთი. საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, იაპონიის მაგალითი ცხადყოფს, რომ გაძლიერებულია სამთავრობო ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციები. შესაბამისად, საქართველოშიც, სამთავრობო ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სახსრების სტაბილური მიწოდება;
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს სხვადასხვა ორგანიზაციები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რეალური პოზიტიური შედეგები არ შეინიშნება. უმნიშვნელოვანესია, რომ პროგრამების შესახებ

ინფორმაცია ქონდეს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ასევე საჭიროა რომ გაიზარდოს პროგრამებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ქვეყნის ყველა რეგიონში;

- ქეისების ანალიზის მეშვეობით დადგინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს გრძელვადიანი წარმატებისთვის ესაჭიროება საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკა მაქსიმალურად მიმართული უნდა იყოს ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისკენ. სახელმწიფო პოლიტიკა აქტიურად უნდა უჭერდეს მხარს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობას საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში, რომლებიც იმართება საზღვარგარეთ. აღნიშნული ბიზნესს ეხმარება რეკლამაში ხარჯები დაზოგვაში და კონტაქტების დამყარებით ცნობადობის ამაღლებაში;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსები მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს ბიზნესის განვითარებაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიზნესმენთა განათლების დონე მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესის წარმატებას. აღნიშნული საკითხის დასაძლევად საჭიროა დასაქმებულთა უნარების დახვეწა სემინარებით, ტრენინგებითა და ვორქშოფებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს მცირე ბიზნესის განვითრების ცენტრი (Small Business Development Centers), რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალური, ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევას არსებული და დამწყები მცირე ბიზნესებისთვის. ცენტრი ბიზნესებს ეხმარება პრობლემების გადაჭრაში, რაც დაკავშირებულია: კაპიტალზე წვდომასთან, ტექნოლოგიურ განვითარებასთან, ბიზნესის დაგეგმვასთან, სტრატეგიის შემუშავებასთან, ფინანსურ მენეჯმენტთან და სხვა საკითხებთან. მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს ყველა რეგიონში. სამეწარმეო უნარების დასწავლა კი უნდა დაიწყოს სკოლიდან, ვინაიდან სამეწარმეო აზროვნების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან ხდება. კვლევამ აჩვენა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის

მფლობელებს უჭირთ კვალიფიციური მუშახელის დაქირავებაც, რაც ზოგ შემთხვევაში ბიზნესის დახურვის საფუძველი ხდება.

- აუცილებელია გაიზარდოს სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში საჭიროა განხორციელდეს რიგი ცვლილებები, მათ შორის, შავი და თეთრი სიის წარმოების წესის ცვლილება, რომელიც ზღუდავს კონკურენციას და თანასწორობას. აუცილებელია დაიწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის სტატისტიკის წარმოება, რადგან მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება;
